სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 ნოემბერი 2003 №215 (1986) ფასი 50 თეთრი



ბაირამ თუთუმლუ

ანრი მიშელმა

საქართველოს ამბები იკითხა თუთუმლუს თუ იჩქარეთ! ნაპრებს ჯარგი მწვრთნელი არ დაუჯარგოთ



როცა ბაირამ თუთუმლუს ბოლოს ველაპარაკეთ, გვითხრა, შესაძლოა, თბილისში ერთ კვირაში ჩამოვიდეო, მაგრამ თურქი აგენტი ჯერაც სამშობლოშია. მისტერ თუთუმლუს გუშინ დავურეკეთ და კითხვებით აქეთაც „დაგვბომბა".

— რა ხდება თქვენთან? ანრი მიშელმა საგანგებოდ დამირეკა კასაბლანკიდან და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე მკითხა. თქვენეულ პოლიტიკურ ამბებზე თურქული ტელევიზიებიც იუწყებიან.

— ჩვენთან დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა, მაგრამ საშიში არაფერი მომხდარა.

— კარგია, თუ ასეა, მაგრამ მაინც როდის დამთავრდება ეს პროცესები?

— იმედი გვაქვს, დაძაბულობა დროებითია და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება. თქვენ როდის აპირებთ აქ ჩამოსვლას?

— საქმისთვის სჯობს, რომ ჯერ კასაბლანკაში ჩავიდეთ მიშელთან მე და თქვენი ფეხბურთის ფედერაციის უფროსობა.

— რა ეტაპზეა თქვენს მიერ წამოწყებული ეს საქმე?

— ახლა ჯერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზეა. მიშელი დიდი მწვრთნელია და თუ არ ვიჩქარეთ, მას დავკარგავთ.

დავით თავგართქილაძე

ოპოზიცია ძლიერდება

ბადრი კეკელიძის ფოტო

ლევან ცაბაძე ერთადერთი არ ყოფილა, ვინც კლოდ სორელის ნაკრებიდან წასვლის საჭიროებას ხედავდა. უბრალოდ, ლეონსიო ამას მსოფლიოს თასამდეც ამბობდა, შესაძლოა, იმიტომაც, რომ ის, ფაქტობრივად, უკვე აღარ ითვლებოდა ნაკრების წევრად. და ნაწილობრივ ესეც სორელის „დამსახურება" იყო.

მსოფლიოს თასის შემდეგ კი სხვებიც ალაპარაკდნენ — დავით ბოლღაშვილი, ირაკლი აბუსერიძე... ალბათ, კიდევ მოიძებნებიან, საქართველოს რაგბის ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს რომ ისურვებენ... ბოლღაშვილის და აბუსერიძის ნალაპარაკები ძალზე ჰგავს ლეონსიოსას. ნუ ავყვებით მანკიერ ცდუნებას და ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდებული მოთამაშეების პოზიციად ნუ ჩავუთვლით ამ ბიჭებს სორელზე ნათქვამებს. მათ სორელისთვის არც მადლობის თქმა ავინყდებათ მსოფლიოს თასზე გაყვანისთვის, მაგრამ მათი კრიტიკის გარეშე, გარედანაც ჩანს, რომ გუნდი არეული და გაუწონასწორებელი გადიოდა ავსტრალიურ მოედნებზე. „სორელმა გვიან დაიწყო ექსპერიმენტები და შეკრულ გუნდში ახალი სქემების დანერგვა. გვავალებდა იმას, რაც არ ვიცოდით, შემადგენლობასაც ყოველ თამაშში ცვლიდა" — აი, ძირითადად ესაა მსოფლიოს თასზე „ლელოების" უხეირო თამაშის აბუსეული განმარტება.

ინტერვიუ ირაკლი აბუსერიძესთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე



ტიერი ანრი და გარდაცვლილი ფოეს ვაჟი მატჩის წინ

პაპიტ ფაინა ემღვნება ფოეს

იტალიისა და პოლონეთის ნაკრებები, რომლებიც კვირის თავზე ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან, გუშინ რომის პაპს, ტომით პოლონელსა და ღვთის სამსახურში ჩადგომამდე ხელობით მეკარეს, იოანე პავლე II ხელდამშვენებულნი ეახლნენ. იტალიელებმა მსოფლიოს კათოლიკეთა სულიერ მამას საკუთარი ავტოგრაფებით დამშვენებული ბოლის ბურთი უსახსოვრეს, პოლონელებმა კი თანამემამულეს ეროვნული გუნდის 1-ნომრიანი მაისურა უფეშქაშეს წარწერით, იოანე პავლე.

ლიონში კი ამ ზაფხულს კონფედერაციის თასზე მატჩისას გარდაცვლილი კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო მატჩი მოეწყო. კამერუნის ნაკრებმა ფოეს მეგობარ-თანაგუნდელთა გუნდი 3:1 დაამარცხა. ცხადია, წაგება დიდად არ უნაღვლიათ პოლ ლე გუენისა და კევინ კიგანის გუშინდელ შეგირდებს — ტიერი ანრის, ნიკოლა ანელკას, სილვენ ვილტორდს, სონი ანდერსონს, რობერ პირესსა თუ სხვებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ 15 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲚᲘᲒᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ 13 ᲗᲣᲠᲘ

ᲬᲕᲘᲛᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲡ ᲐᲡᲕᲔᲚᲔᲑᲡ

ᲞᲐᲐᲣᲜᲐ ᲙᲘᲓᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 15 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ. 100 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2 0:1 ᲐᲛᲔᲠᲘ

0:1 დავითნიძე (64)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2: თოთლაძე, ლობჟანიძე (ხუსკივაძე 89), კაშია, გიგაური, კანკავა (დევაძე 76), ხმალაძე, კვიტაიშვილი, შალამბერიძე, გრიგალაშვილი, ნოვალოვსკი (დვალიშვილი 61), დვალი
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: გია გეგუჩაძე

ᲐᲛᲔᲠᲘ: ასლანაძე, კელენჯიჩი, ჩიხრაძე, დავითნიძე, ვერემუკი, გაფრინდა (კანუგრავა 46), ბერიანიძე, ელბაქიძე (ნიკოლაშვილი 81), კილასონია, რუსია, წინამძღვრიშვილი (ბოცირიძე 46)
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: გაიოზ დარსაძე

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: გიგაური (30), ლობჟანიძე (53), ვერემუკი (61), კილასონია (75)

ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: გ. კიკაჩეიშვილი; ა. ნონიკაშვილი, ბ. ელისაბედაშვილი, ბ. ბალდაკორი.



ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲡᲐᲪ ᲣᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡᲐᲪ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ „თბილისის“ ახალგაზრდა, ჯერაც დაუღვინებელმა, თუმც საკმაოდ ალღოიანმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიგვიწვია.

საუბრის თემა ძირითადად „ბათუმთან“ დღევანდელი მატჩი უნდა ყოფილიყო. ცხადია, მასაც შევეხეთ, თუმც დევდარიანმა სხვა, ამ ერთ თამაშზე უფრო საინტერესო ამბებიც გვამცნო, რომელთაგან ოთხს გამოვარჩევთ: რატომ გახდა მის ხელში გივი კვარაცხელია უკანა მცველი, ვინ არის გოჩა ხოჯავა, ვის უშვებს (თუ უკვე გაუშვა) გუნდიდან და როგორია გორში დაზარალებული გუნდის მასაჟისტის გარი სუკიასიანის ჯანმრთელობა. ერთი სიტყვით, დევდარიანმა თქვა:

...გივი კვარაცხელია ამპლუით ნახევარმცველია. მისი უკან დახევა კი მეგობრებმა, გამოცდილმა სპეციალისტებმა მირჩიეს. ვფიქრობ, იგი მშვენივრად ართმევს თავს მცველობას და სანამ ჩვენ ერთდ მოგვიწევს მუშაობა, კვარაცხელიაც მუდამ უკანახაზელი იქნება.

...არ მინდა, ხოჯავა შევაქო და მერე თავში აუვარდეს. უბრალოდ, ვიტყვი, მას დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ვარჯიშებზე ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ირჯება და რაც მთავარია, მან შეიგნო, რომ დიდ ფეხბურთს უშრომელად ვერ ითამაშებ, უპირველესად, ეს მისთვისაა უკეთესი.

...ჩათვალეთ, რომ დავით დათვაძემ, ირაკლი გემეზაშვილმა, გია იმედაძემ და ლაშა ჯაკობიამ გუნდი უკვე დატოვეს. მათი წასვლა პირადულ ურთიერთობას ნამდვილად არ შეცვლის. მსურს, გუნდში მყავდეს მხოლოდ ისეთი მოთამაშე, რომელიც ჩემს დავალებას შეასრულებს და საქმეს გააკეთებს და არა ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ ის მაგარია, ტალანტია და თამაში ეკუთვნის.

...საბედნიეროდ, ბატონი გარი ახლა კარგადაა. გორში ერთ-ერთმა არამზადამ ქვით თავი კი გაუტეხა, მაგრამ სერიოზული, მძიმე დაზიანება არ მიულია.

აქვე დღევანდელ მატჩზეც ვთქვათ. კითხვაზე, თუ რა არის „ბათუმის“ პლუს-მინუსი, დევდარიანმა განაცხადა: „კონკრეტულად „ბათუმზე“ არ ვამბობ, მაგრამ მაინტერესებს, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნებისმიერ გუნდს აქვს რაიმე პლუსი? მე ჯერაც გამოუცდელი და ახალბედა ვარ, თუმც ერთს აღვნიშნავ: განვლილ რვა ტურში ყველანაირ მეტოქეს ვეთამაშეთ და სიურპრიზებით ვერავინ გამაკვირვა. მთავარია, ჩვენ მოვახვიოთ მეტოქეს თავზე ჩვენი სწრაფი და გუნდური თამაში. ბიჭებმა ეს ხუთი თითივით იციან.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲣᲜᲐᲫᲘᲫᲔ



ლაშა ჯაკობია

ᲑᲣᲠᲗᲘ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲑᲣᲠᲗᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲐᲠᲨᲘᲐ...
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-2“-Ს ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲜᲘᲫᲔᲛ (№24) ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲐ

ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ 1:0 ᲛᲘᲚᲐᲜᲘ

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ 0:1 ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘ 2:0 ᲒᲝᲠᲓᲐ

ᲒᲣᲠᲘᲐ 3:2 ᲗᲡᲣ

ᲚᲣᲙᲐ 1:4 ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ

ᲕᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ 1:2 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲑᲘᲕᲘ 2

ᲕᲘᲪ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ-ᲛᲪᲮ. — ᲩᲘᲮᲣᲠᲐ
გადადიდო

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ	12	9	1	2	23:9	28
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ	13	7	4	2	23:7	25
ᲝᲚᲘᲛᲞᲘ	12	7	4	1	21:12	25
ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ	13	7	4	2	15:7	25
ᲒᲝᲠᲓᲐ	13	6	3	4	13:12	21
ᲛᲘᲚᲐᲜᲘ	13	5	3	5	10:9	18
ᲒᲣᲠᲘᲐ	13	5	2	6	17:19	17
ᲐᲛᲔᲠᲘ	13	4	5	4	16:13	17
ᲩᲘᲮᲣᲠᲐ	12	5	1	6	14:14	16
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲑᲘᲕᲘ 2	13	5	1	7	11:16	16
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2	13	4	4	5	19:16	16
ᲘᲕᲔᲠᲘᲐ	13	4	4	5	10:18	16
ᲕᲘᲪ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ-ᲛᲪᲮ.	12	3	6	3	8:9	15
ᲗᲡᲣ	13	4	2	7	20:17	14
ᲚᲣᲙᲐ	13	4	1	8	12:22	13
ᲕᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ	13	0	1	12	5:37	1

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲑᲚᲔᲙᲑᲣᲠᲜᲘ 0:1 ᲠᲔᲓᲡᲔᲓᲘ
ᲯᲣᲜᲖᲣ ᲞᲐᲠᲙᲘ 1:0 ᲑᲠᲘᲜᲢᲕᲣᲠᲗᲘ
ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ XVII ᲢᲣᲠᲘ
ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ 2:0 ᲯᲔᲠᲘᲤᲝᲠᲓᲘ
ᲐᲚᲓᲔᲠᲨᲝᲢᲘ 2:1 ᲘᲔᲡᲘᲢᲔᲠᲘ
ᲑᲐᲠᲜᲚᲘ 1:0 ᲑᲠᲘᲡᲢᲝᲚᲘ
ᲓᲐᲑᲘᲜᲔᲛᲘ 1:0 ᲤᲐᲠᲜᲑᲝᲠᲝ
ᲯᲐᲚᲘᲤᲐᲩᲘ 1:1 ᲢᲔᲚᲤᲝᲠᲓᲘ
ᲚᲔᲘᲤᲘ 1:4 ᲡᲐᲠᲑᲝᲠᲝ
ᲛᲐᲠᲑᲘᲢᲘ 1:2 ᲨᲝᲤᲘᲚᲓᲘ
ᲛᲝᲠᲔᲘᲙᲔᲛᲑᲘ 0:1 ᲩᲘᲡᲢᲔᲠᲘ
ᲨᲠᲘᲣᲡᲑᲔᲠᲘ 2:0 ᲤᲝᲠᲔᲡᲢ ᲒᲠᲘᲜᲘ
ᲢᲔᲛᲤᲣᲠᲗᲘ 1:2 ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘᲯᲘ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲐ XXXIII ᲢᲣᲠᲘ

ᲣᲝᲢᲔᲠᲤᲝᲠᲓᲘ 3:0 ᲙᲝᲠᲙᲘ
ᲨᲔᲛᲠᲝᲙᲘ 0:1 ᲚᲝᲜᲒᲤᲝᲠᲓᲘ
ᲓᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲘ 0:3 ᲑᲝᲚᲘᲔᲛᲘᲐᲜᲡᲘ
ᲓᲠᲝᲰᲔᲓᲐ 2:2 ᲡᲔᲜᲢ ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲡᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲢᲝᲛᲘ 3:0 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ

ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ 3:1 ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ
ᲛᲝᲛᲐᲚᲕᲜᲐ ᲛᲐᲠᲯᲐ-ᲕᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი

16 ტური

დილა	1:2 თბილისი
ბათუმი	3:2 მერცხალი
მცხეთა	0:4 სიონი
დინამო	1:0 ლოკომოტივი
ტორპედო	2:1 ვიტ ჯორჯია
სპარტაკი	1:0 კოლხეთი

მეთხუთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა და გუნდებიც გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადებიან. ექვსეულში მოხვედრა ზოგისთვის მშვიდ ცხოვრებას ნიშნავს, ზოგისთვისაც ევროპაში „გასაფრენი“ ტრამპლინია. იმათ იკითხონ, ვინც ამათ ჩამორჩება და გასავარდნ ზონაში ჩატოვებს ფეხს

ბაფარი ალფაიევის ფოტო

გაგა ჩხეტიანის (შუაში) „ტორპედომ“ „ვიტ ჯორჯია“ მოისტუმრა, ხვალ კი „ლოკომოტივი“ ელის

იბერიოამერიკული დერბი





ლუის ცაკარიასი ჭოაო კამპუშს ვაკეში გაიცნობს

თეორიულად ზეექვსეულში შესვლა ბოლოადგილოსან ოზურგეთის „მერცხალსაც“ შეუძლია, თუმცა უმჯობესია, რეალობაში დაებრუნდეთ და უკვე გამოჩენილი კონტურებით დავასკვნათ: „ბათუმს“, „მცხეთას“, „სპარტაკს“, „კოლხეთს“ და, ცხადია, „მერცხალს“ დანარჩენ შვიდ გუნდთან კონკურენცია გაუჭირდებათ. ესენი მხოლოდ დასარჩენად თუ იბრძოლებენ...

მაჩანჩალებზე ჩამოვარდა სიტყვა და, ფოთის „კოლხეთზე“ რომ არ ვთქვათ, არ შეიძლება. ერთ დროს მობაირამე კოლხები ახლა ჭაობში არიან. 16 მატჩში მოგროვებული 12 ქულა ზღვისპირელებისთვის სამარცხვინო შედეგია. „კოლხეთის“ მდგომარეობა შაბათს „სპარტაკთან“ დამარცხებამ კიდევ უფრო დაამძიმა. გავრცელებული ხმებით, ფოთელებს

№	გუნდები	სულ თ	სულ მ	სულ ფ	სულ წ	სულ ბ	სულ ს	სულ ქ	შინ თ	შინ მ	შინ ფ	შინ წ	შინ ბ	შინ ს	შინ ქ	სტუმრად თ	სტუმრად მ	სტუმრად ფ	სტუმრად წ	სტუმრად ბ	სტუმრად ს	სტუმრად ქ
1	დინამო	16	10	4	2	33:6	27	34	8	6	2	0	22:1	21	20	8	4	2	2	11:5	6	14
2	სიონი	16	9	6	1	22:8	14	33	8	6	2	0	13:3	10	20	8	3	4	1	9:5	4	13
3	ვიტ ჯორჯია	15	8	5	2	25:9	16	29	8	5	3	0	17:3	14	18	7	3	2	2	8:6	2	11
4	დილა	16	8	3	5	19:13	6	27	8	6	1	1	12:4	8	19	8	2	2	4	7:9	-2	8
5	თბილისი	16	7	4	5	29:19	10	25	8	5	2	1	19:9	10	17	8	2	2	4	10:10	0	8
6	ლოკომოტივი	16	6	4	6	22:19	3	22	8	5	2	1	14:6	8	17	8	1	2	5	8:13	-5	5
7	ტორპედო	16	6	4	6	15:17	-2	22	8	5	2	1	12:6	6	17	8	1	2	5	3:11	-8	5
8	ბათუმი	15	6	1	8	20:19	1	19	7	4	0	3	11:7	4	12	8	2	1	5	9:12	-3	7
9	მცხეთა	16	5	2	9	18:37	-19	17	8	4	1	3	13:15	-2	13	8	1	1	6	5:22	-17	4
10	სპარტაკი	16	3	4	9	9:36	-27	13	8	2	2	4	5:13	-8	8	8	1	2	5	4:23	-19	5
11	კოლხეთი	16	3	3	10	9:22	-13	12	8	2	2	4	7:12	-5	8	8	1	1	6	2:10	-8	4
12	მერცხალი	16	2	4	10	16:32	-16	10	8	1	3	4	5:8	-3	6	8	1	1	6	11:24	-13	4

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი

17 ტური

მცხეთა. 12 ნოემბერი. 15 საათი. არმაზი

მცხეთა — სპარტაკი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

ბოლნისი. 12 ნოემბერი. 15 საათი. ოსმანეზ სტეფანია

სიონი — დილა

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხიჩაგაშვილი; **დირექტორი:** ო. კორლაიძე

თბილისი. 12 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

თბილისი. 12 ნოემბერი. 15 საათი. ისანი

თბილისი — ბათუმი

მსაჯები: მ. მალალურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკაროლი (ქარელი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** ვ. კოპალეიშვილი

ოზურგეთი. 13 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური

მერცხალი — დინამო

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ე. თევზაძე

თბილისი. 13 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

„ხელის ჭუჭყი“ შემოაკლდათ და ფინანსური პრობლემები მიეძალათ. ჰოდა, ამის გათვალისწინებითაც ძნელი წარმოსადგენია, გია ტყებუჩავას გუნდმა დღეს „ვიტ ჯორჯიასთან“ იხეიროს.

ვეტერინარებს წაფორხილების უფლება არა აქვთ. მით უმეტეს, ქუთაისში მოყოჩაღებულ „ტორპედოსთან“ 1:2 წააგეს და მესამე ადგილზე არიან. „ვიტ ჯორჯიას“ შანსი აქვს, ლიდერთა დუეტთან სხვაობა შეამციროს და საეჭვოა, ამას ხელი გაუშვას.

მეორეადგილოსანი „სიონი“ გორის „დილას“ დაუხვდება. თამაში საინტერესო უნდა გამოდგეს. „სიონს“ ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი დაცვა ჰყავს ეროვნულ ჩემპიონატში და ვინძლო, გორელებს გოლის გატანა მეტად გაუჭირდეთ. მით უმეტეს, ბოლო ტურებია, „დილა“ გაჩერდა. „მერცხალთან“ უგოლო მატჩს გორელებმა „თბილისთან“ საშინაო მარცხი მიაყოლეს და კონკურენტებს დაწევის შანსი უბოძეს. ეს პირველი საშინაო მარცხი იყო „დილასთვის“ ამ სეზონში. ბოლნისელები კი ყინჩად არიან, ბოლო ტურში „მცხეთა“ 4:0 დაიბრიყვეს და 33 ქულით მეორე ადგილზე ნებივრობენ.

გიორგი დევდარიანის „თბილისი“ დღეს „ბათუმს“ უმასპინძლებს და ახალგახსნილ „ისანზე“ პირველი გამარჯვების მოპოვებას ეცდება. დედაქალაქელებს, ცხადია, მეტი შანსი აქვთ, თუმც არც ბათუმელია საბრძოლო ჟინია დასავიწყებელი. რაც „მერცხალთან“ შაბათის მატჩშიც გამოჩნდა — ოზურგეთელებმა 87-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ კაპიტანმა ივანე მახარაძემ დარჩენილ დროშიც მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა.

„მცხეთა“ — „სპარტაკი“. ამ მატჩში ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. „მცხეთამ“ ტემპი დაკარგა. ვლადიმერ გუცაევის გუნდს 5 ოქტომბრის მერე არ მოუგია. მშრალი ხუთტურიანი სერიის შეწყვეტა მცხეთელებს ახლაც გაუჭირდებათ. ახალგაზრდული „სპარტაკი“ არ არის ის გუნდი, ვისი დამარცხებაც ერთი ხელის მოსმით შეიძლება. თან „სპარტაკი“ იმტაზეა — ამ ჩემპიონატში პირველად დატოვა ბოლო ორი საფეხური.

ორიოდ სიტყვა ხვალინდელ მატჩებზეც ვთქვათ, რომელთაგან ყველაზე საინტერესო „ლოკომოტივი“ — „ტორპედოა“. ემოციური ჟოაო კამპუშის გუნდს ექვსეულის გზა გაეხსნა დ ჩიხში გადახვევა ვინძლო, დამძიმებულიც აღმოჩნდეს. ლუის ცაკარიასის „ლოკომოტივი“ კი ჯერაც არ ჰგავს აწყობილ და გზაში გასაშვებად ლიანდაგზე შემდგარ-გამზადებულ შემადგენლობას. მეექვსე-მეშვიდე ადგილებზე მყოფი თანაბარქულიანი მეტოქეები ერთმანეთს რომ არაფერს დაუთმობენ, ამას სატურნირო ცხრილიც ღაღადებს.

დაბოლოს, ოზურგეთში ეროვნული ჩემპიონატის პოლუსები შეიკვრება. ლიდერი თბილისის „დინამო“ აუტსაიდერ „მერცხალს“ ესტუმრება და ალბათ, მორიგ სამ ქულასაც ჩაიჯიბავს. შეგახსენებთ, პირველ წრეში ივო შუშაკის ბიჭებმა 8:1 გადაუფრინეს „მერცხალს“. „დინამო“ ალბათ „მერცხალის“ ბუდეშიც იფრენს.

ძახა შალამბერიძე

ბომბარდირები		
12 -	დავითაშვილი	*თბილისი*
10 -	გონჩაროვი	*სიონი*
8 -	ახალაია	*დინამო*
	გოცირიძე	*ვიტ ჯორჯია*
	კაკალაძე	*ბათუმი*
7 -	ვ. გოჩაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
	ა. კაიდარაშვილი	*დილა*
6 -	გაბედავა	*მერცხალი*
5 -	ელქანაძე	*დინამო*
	დარასელია	*დინამო*
	ალექსიძე	*დინამო*
	გაბისკირია	*სიონი*
4 -	ძოძუაშვილი	*დილა*
	ჩიდვინაძე	*მცხეთა*
	ჭინჭარაული	*მერცხალი*
	სირაძე	*ლოკომოტივი*
	ეიკუჩაძე	*თბილისი*

საქართველოს ჩემპიონ თბილისის „დინამოში" თვენახევრის წინ დიდი რია-რია იყო. გეხსომებათ, გუნდის 21-მა ფეხბურთელმა მათთვის პრემიების შემცირების თაობაზე კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება გააპროტესტა. უფროსობის რეაქციამაც არ დააყოვნა, ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია მიეცათ, თუმც საქმეში ფეხბურთის ფედერაციის ჩარევის შემდეგ კონფლიქტი, ჩანს, დროებით ჩაიფარცხა. დროებითო, ვამბობთ, რადგანაც ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სწორედაც რომ პირობებით უკმაყოფილო „დინამოს" ბევრი ფეხბურთელი გუნდიდან წასვლას აპირებს, ზოგსაც ხელმძღვანელობა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უპირებს დათხოვნას.

მოკლედ, თბილისის „დინამოში" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტირანასთან" მარცხი ჯერაც ვერ მოუნელებიათ, ივლისის შემდეგ ვითარება კლუბში, როგორც ამბობენ ხოლმე, ყოველ წუთს „ფეთქებადსაშიშია".

კლუბის სპორტული დირექტორი გივი ნოდია კი, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეს ინარჩუნებს და ზოგადად საკლუბო ამბებზე, მწვრთნელზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე საუბრობს

გიორგი ჯიბლაძის ფოტო

გივი ნოდია:
ეს დინამო და ეს შუშაკი
დირექტორი გუნდს არ უშვებს

— პრობლემები მოგვარდა, საწვრთნელი პროცესი ჩვეულ რიტმშია, გუნდი ძველებურ სპორტულ ცხოვრებას დაუბრუნდა, რაც შედეგებზე აისახება. დროებით დაკარგული ლიდერობაც დავიბრუნეთ — გვითხრა გივი ნოდიამ — დარწმუნებული ვარ, პირველი ეტაპის ბოლომდე „დინამოს" სვლა არ განელდება. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, წლეულსაც ისაა, რაც შარშან იყო და რაც საერთოდ „დინამოს" მოღოხოვება — ჩემპიონობა და თასი.

— ჩემპიონობა და თასი, გეთანხმებით, პრესტიჟული საქმეა, თუმც „დინამოს" წარსულის გათვალისწინებით, ქომაგთათვის საშინაო წარმატება ბევრსაც არაფერს ნიშნავს...

— წარსული ერთია და ამჟამინდელი ვითარება მეორე. გავიხსენოთ, რომ „დინამო" ორი წლის წინ ფაქტობრივად უპატრონო იყო. ბადრი პატარკაციშვილის კლუბში მოსვლამდე ფეხბურთელებს ელემენტარული პირობებიც არ ჰქონდათ და სამი სეზონი გუნდი „ტორპედოს" კუდში იყო. „დინამოს" ევროსარბიელიც სანატრელი ჰქონდა. მერე კი ნელ-ნელა საქმე აეწყო. მოიწვიეთ სერიოზული, მაღალი დონის მწვრთნელი, გადმოვიბირეთ რამდენიმე ფეხბურთელი, გუნდი მოღონიერდა და ჩვენი აღმასვლაც დაიწყო. ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი წარუმატებლობა კანონზომიერი იყო, თუმც არც უიმისობაა: ევროპული კლასის გუნდი წელიწადნახევარში არ კეთდება. ვაღიარებ, რომ „ტირანასთან" ჩვენ შეცდომები გვქონდა. თუმც ამ წარუმატებლობის მიზეზებში ღრმად თუ ჩავიხედებით, შორს წავალთ. მთავარი ისაა, ჩვენ შეცდომებს მივხედით და სხვა ქართული კლუბებისთვის „დინამო" მაგალითი უნდა იყოს. იცით, ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა დიდი „დინამოს" შექმნას ხუთი-ექვსი წელიწადი მოანდომა. თანაც გავითვალისწინოთ, რომ მაშინდელ შემადგენლობაში უმეტესობა საკმაოდ გამოცდილი იყო. ხინჩაგაშვილი გუნდში 1969 წელს გამოჩნდა, ყიფიანი და გუცაევი ორი წლის მერე, 74-ში ჩივაძე, ოდნავ მოგვიანებით დარასელია, კოსტავა, სულაქველიძე, შენგელია, გაბელია. მოკლედ, მსურს, ვთქვა, რომ ივო შუშაკს ევროპული დონის ძლიერი გუნდის შესაქმნელად დრო სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ამ მწვრთნელმა თავისი საქმე ძალიან კარგად იცის და დასახული მიზნისკენ გეგმაზომიერად მიდის.

— კი მაგრამ, დეკემბრამდე შუშაკს გუნდი, ალბათ, შეუთხელდება...

— არ ვიზიარებ ტორპედოსეულ პრაქტიკას. არა მგონია, სწორი იყოს, როცა ნახევარ გუნდს უშვებ და, ფაქტობრივად, ნულიდან იწყებ ახლის შენებას. როცა ჩემპიონატისთვის მზადება მიმდინარეობს, კონტინგენტი თავისთავად იცხრილება და გუნდში ის ფეხბურთელები რჩებიან, რომლებიც მწვრთნელის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. მერე, პერიოდულად, გუნდი გადახალისებას საჭიროებს, თუმც ხერხემალი უნდა დარჩეს. ჩემპიონატის მიმდინარეობისას გუნდში რადიკალური ცვლილება დაუშვებლად მიმაჩნია. ახალი გუნდის აწყობა-შეთამაშებაში დრო დაიკარგება. ასეთი ნაბიჯები კი შესაძლოა, გუნდს ძვირად დაუჯდეს. აგერ გვაქვს ქუთაისის „ტორპედოს" მაგალითი. ქუთაისელებს ისე აქვთ საქმე, რომ ექვსეულში მოსახვედრად იბრძვიან.

— ისე გამოდის, მომავალ ევროტურნირებზე გუნდისგან ისეთივე ფიასკოს უნდა ველოდოთ, როგორც ზაფხულში?

— თუ გავძლიერდებით, ჩვენი საქმე უკეთ იქნება. უკეთ ვითამაშებდით ამ ზაფხულსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, გუნდის გაძლიერება ობიექტურ-სუბიექტურ მიზეზთა გამო არ მოხერხდა. თვალი გვქონდა დადგმული ასათიანზე, აშვეთიაზე, ქემოკლიძეზე, სირაძეზე, ლომაიაზე, შესაძლებელი იყო ამ ფეხბურთელების გადმობირება... არაფერი გამოვიდა. მოვიყვანეთ ერთი, მელქაძე, თუმც ისიც ალექსიძის შემცვლელი გამოდგა. რატი ტრავმირებული იყო და ისე გამოვიდა, რომ მელქაძემ ის შეცვალა, არ გავძლიერებულვართ. კონკურენციის დონე იგივე დარჩა. სასურველი იქნება ივო შუშაკს გუნდის ახლანდელი ბირთვი შეუნარჩუნდეს და მათთან გააგრძელოს მუშაობა. მისი გეგმის შუა გზაზე შეწყვეტა გაუმართლებელი მგონია. არადა, „დინამოში" ერთი ცუდი ტრადიციისმაგვარია, 50-იანი წლების მერე, რაც მახსოვს, ჩვენს გუნდში, იაკუშინს, ახალკაცსა და ყიფიანს თუ არ ჩავთვლით, ერთბაშად სამ სეზონზე მეტხანს არავის უმუშავია. ვფიქრობ, მწვრთნელთა ასეთი ხშირი ცვლა იყო იმის მიზეზიც, რომ ყოველთვის უდიდესი პოტენციალის მქონე „დინამო" ხშირად მოწინავე საბჭოთა კლუბების ჩრდილში რჩებოდა.

— და მაინც, ფიქრობთ, რომ „დინამო", რომელმაც ჩემპიონობა და თასიც მოიგო, ორი წლის წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაძლიერდა?

— დიახ, ასე ვფიქრობ, დარწმუნებულიც ვარ, ასეა. ფაქტები ყველაფერზე მეტყველებს. ამჟამინდელი „დინამოდან" 10 ფეხბურთელი ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების წევრია. ჩემპიონობა და თასიც უკვე ჩვენია.

ძოგა ინასარიძე

აბრამიძე სპარტაკში არის და არც არის
ურალანიდან ურათი გარბიან



ელისტის „ურალანში" განათხოვრებული ვალერი აბრამიძე გუშინ მოსკოვში დაბრუნდა. ჩვენებური ყალმუხურ კლუბს თასის მატჩებშიც უნდა დახმარებოდა, მაგრამ ორიოდ დღის წინ მერვედფინალში მოსკოვის ცსკა-თან 0:4 წაგებამ „ურალანი" ფაქტობრივად ამ ტურნირიდანაც გამოთიშა. აბრამიძეც განმეორებით მატჩს აღარ დალოდებია და „სპარტაკს" დაუბრუნდა. ის უკვე მეშვიდე უცხოელია, ვინც „ურალანი" დატოვა.

„სახალხო გუნდის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, ქართველ მცველს ახალი ვარიანტები მოუძებნოს.

შეგახსენებთ, რომ ვალერი აბრამიძე „ურალანში" მეორე წრიდან თამაშობდა, მაგრამ კლუბს პრემიერლიგაში დარჩენაში ვერ შეეშველა. ახლა კი აბრამიძის და „ურალანის" გზები ოფიციალურად გაიყარა. ჩვენებურის ახალი კლუბი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ძახა ზალამბერიძე

ნემსაძემ დანდი შვმგულმგაში გაუშვა



ორკვირიანი იძულებითი დასვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიური „დანდის" ფეხბურთელმა გიორგი ნემსაძემ ვარჯიში განაახლა და ორიოდ დღეში გუნდსაც შეუერთდება.

ნემსაძემ ერთ-ერთი ვარჯიშისას მუხლი დაიშავა, მენისკის ხრტილები დაიზიანა და ექიმებისგან ორკვირიანი მკურნალობის კურსი გამოიწერა. ჩვენებურის არყოფნაში, ბოლო ორ ტურში, „დანდიმ" შინ ფრედ ითამაშა „კილმარნოკთან", წინა უქმეებზე კი „მოზერუელთან" სტუმრად წაგო.

— ჩემ გარდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელიცაა დაშავებული. მწვრთნელი იძულებული გახდა, გუნდი „დანდის" მეორე შემადგენლობიდან შეევსო. „მოზერუელთან" და „კილმარნოკთან" ოთხი-ხუთი ახალგაზრდა ფეხბურთელი სწორედ მეორე გუნდიდან თამაშობდა. გუნდს ტრავმებმა დარია ხელი, თუმც ახლა შოტლანდიის ჩემპიონატში მცირეხნიანი პაუზაა, გუნდი ხუთდღიან შვებულებაშია, ჩვენ კი, ტრავმირებულნი, ინდივიდუალურად ვვარჯიშობთ და გუნდს ველით. ალბათ ყველაფერი კარგად იქნება, ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატი როცა განახლდება, ვიმედოვნებ, ჯანზე ვიქნები. ექიმების თქმით, აღდგენითი პროცესი გაურთულებლად მიდის — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, როცა შოტლანდიაში დავუკავშირდით.

ძოგა ინასარიძე

აჩიკოს ოპერაცია არ უნდა

არჩილ არველაძე მეექვსე ოპერაციისთვის მზად კი იყო, მაგრამ გუშინ იუარა — გადაწყვეტილება კიოლნელ ექიმ შტეფან შეფალჰოფთან საუბრის შემდეგ მიიღო.

საქმე ისაა, რომ გამოკვლევის შემდეგ აჩის უთხრეს, თუ ოპერაციას გაიკეთებ, გარანტიად მხოლოდ 25-30 პროცენტს გამოვდივართ, რომ ფეხბურთს ითამაშებო. ტყუპისცალს მუხლზე გადანერგილი ხრტილი ძვალთან არ ჰქონია შეხორცებული და ნაპრალში წყალი ჩასდგომია. ერთი სიტყვით, არველაძე 3-4 თვე მოიცდის, თერაპიას ჩაიტარებს და ამის შემდეგ გადაწყვეტს, ოპერაცია გაიკეთოს თუ თამაშს თავი დაანებოს.

დავით თავართქილაძე

ინგლისი

პრემიერლიგა, XII ტური

ბლეკბერნი 2:1 ევერტონი

1:0 ბაბელი (6), 2:0 იორკი (13), 2:1 რაძინსკი (49)

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, ბაბელი, გრეშკო, ემერტონი, ბ. ფერგიუსონი, ფლიტკროფტი, რიდი, იანსენი (დ. ბაჯო 79), იორკი (გალაჰერი 46)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

ევერტონი: მარტინი, ჰაიბერტი, იობო, კლარკი, ნეისმიტი (ჯეფერსი 82), გრავესენი, ნიარკო (ანსუორთი 46), ლინდეროტი, კილბეინი (მაკფადენი 46), კ. კემპბელი, რაძინსკი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ფერგიუსონი, გრეშკო, ფლიტკროფტი, ლინდეროტი, კემპბელი

მსაჯი: დოუდი

22 179 მაყურებელი

მოწყურებულმა სუნესმა ევერტონი დალია

თამაში ახალი დაწყებული იყო, მარკუს ბაბელმა „ევერტონს“ რომ გაუტანა

„ბლეკბერნს“ 20 სექტემბრის შემდეგ არ მოეგო და ნავსი „ევერტონთან“ გატეხა. გრემ სუნესი სამსახურის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა და ჯერჯერობით გადარჩა. შეფუცხუნებულმა მასპინძლებმა მეტოქეს მატჩის დასაწყისშივე შეუტიეს. სტუმრებს მთავარმეგოლე უეინ რუნი ტრავმის გამო აკლდათ.

გააფთრებულმა „ბლეკბერნმა“ ნაიველ მარტინის კარზე იერიში მიიტანა და მერსისაიდელთა მეკარე გვარიანად შეაწუხა. გოლმა არ დაახანა. ბრეტ ემერტონმა კუთხური ჩააწოდა, პეტერ კლარკმა ბურთი გამოიტანა, მაგრამ იგი მარკუს ბაბელს მიუგორდა და გერმანელს გატანა არ გასჭირვებია.

იშტაზე მოსულმა დამხვდურებმა მალე მეორე საგოლე კომბინაცია გაჩარხეს. მარცხენა ფლანგზე მქროლავმა ემერტონმა დუაიტ იორკი მოძებნა, რომელმაც ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენებისას სტუმართა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა ნიარკოსა და კილბეინის ნაცვლად ანსუორთი და მაკფადენი შეუშვა, რითაც მატჩის ხასიათი შეცვალა. მეორე ტაიმში მეტწილად ვითარებას „ევერტონი“ აკონტროლებდა. „ბლეკბერნის“ შეტევა დასუსტდა, რადგან დუაიტ იორკს პირველი ტაიმის მიწურულს ფეხი ეტკინა და სუნესი იძულებული იყო, იგი პოლ გალაჰერით შეეცვალა. გალაჰერმა იორკობა ვერ გასწია და სტუმრებმაც მთელი გუნდით საიერიშოდ მოიცალეს.

მერსისაიდელებმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე იხეირეს. მაკფადენის ჩაწოდებული ბურთი ბრედ ფრიდელმა მოიხელთა, მაგრამ შეცდა და პირდაპირ ტომაშ რაძინსკის მიართვა. პოლონელმა საჩუქარი შეირგო და ბოლო ხუთ მატჩში „ევერტონის“ პირველი გოლი გაიტანა.

მატჩის მიწურულს ევერტონელები დამხვდურთა საჯარიმოს თავზეხელაღებულად მიეძალნენ, მაგრამ „ბლეკბერნმა“ მეტოქის ზეწოლას გაუძლო, ნანატრი სამი ქულა მიითვალა და ცხრილის ძირიდან ზევით აინაცვლა.

ვაჟა ხუციშვილი

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი	12	9	3	0	25:10	30
ჩელსი	12	9	2	1	26:9	29
მანჩესტერი	12	9	1	2	23:7	28
ჩარლტონი	12	6	3	3	19:15	21
ბირმინგემი	12	5	5	2	11:8	20
სიტი	12	5	3	4	22:15	18
ფულემი	12	5	3	4	22:18	18
ლივერპული	12	5	2	5	18:14	17
საუთჰემპტონი	12	4	5	3	10:7	17
ნიუკასლი	12	4	4	4	16:18	16
პორტსმუთი	12	4	3	5	17:16	15
მიდლსბრო	12	4	2	6	11:15	14
ტოტენჰემი	12	3	3	6	11:16	12
ბოლტონი	12	2	6	4	9:19	12
ლესტერი	12	3	2	7	19:21	11
ბლეკბერნი	12	3	2	7	17:22	11
ასტონ ვილა	12	2	5	5	9:15	11
ევერტონი	12	2	4	6	13:17	10
ვულვზი	12	2	4	6	8:24	10
ლიდსი	12	2	2	8	11:31	8





პიტერ რიდი ტრევორ ბირშმა მადლობით გაისტუმრა

რიდი ტანჯვას გაერიდა

ნატანჯი „ლიდსის“ კიდევ ერთი ნატანჯი მწვრთნელი გაათავისუფლეს. პიტერ რიდის შვიდთვიანი საქმიანობა იორკშირულ კლუბში დასრულდა. 47 წლის ირლანდიელმა სპეციალისტმა „ლიდსი“ ამ წლის 21 მარტს ტერი ვენეიბლზისგან ჩაიბარა. თავის მხრივ, ვენეიბლზმა დევიდ ოლირი შეცვალა, მაგრამ ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს გზადაგზა გუნდიდან საუკეთესო ფეხბურთელები გაუყიდეს და გასულ გაზაფხულზე პოსტი მიატოვა.

„ლიდსმა“ პიტერ რიდის ხელქვეით პრემიერლიგაში დარჩენა შეძლო. ზაფხულში კლუბი მორიგ ვარსკვლავბიჭუნას, ავსტრალიელ ჰარი კიუელს 5 მილიონ გირვანქად შეელია. იორკშირელებს ნელ-ნელა ვალები დაუგროვდათ, რადგან დევიდ ოლირის დროინდელ გუნდს ბლომად ფული დაახარჯეს, მაგრამ დაგეგმილ წარმატებას პრემიერლიგაში და ევროსარბიელზე ვერ მიაღწიეს.

ვალებში ჩაფლული „ლიდსის“ საქმე სეზონის დასაწყისიდანვე აირია. ლიდსელებმა 12 ტურში მხოლოდ ორჯერ შეძლეს მოგება და ცხრილის ფსკერზე დაილექნენ.

28 სექტემბერს, „ევერტონთან“ დამარცხების (0:4) შემდეგ, რიდს შანსი მისცეს და მომდევნო ტურში „ბლეკბერნის“ ძლევამ (2:1) კლუბში ირლანდიელის დარჩენის შანსები გაზარდა, მაგრამ გასულ უქმეებზე „პორტსმუთთან“ 1:6 განადგურებამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.



„ლიდსი“ ძველ ლიდსელს, ედი გრეის დროებით ჩააბარეს

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 47 წლის ირლანდიელს კალენდრით აშკარად არ გაუმართლა. ზედიზედ გადაეყარა „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ლივერპულსა“ და „არსენალს“. ამ „ვეშაპებთან“ კი თუნდაც ქულის აღება ძალიან ძნელი იყო.

„ლიდსის“ აღმსრულებელმა დირექტორმა ტრევორ ბირშმა განაცხადა, რომ პიტერ რიდთან საუბრის შემდეგ გასარკვევი აღარაფერი დარჩა. ისინი ერთმანეთს პირზე კოცნით დაშორდნენ და დირექტორმა გაწეული სამსახურისთვის მწვრთნელს მადლობა გადაუხადა.

იორკშირული გუნდის დროებით მწვრთნელად ედი გრეი დანიშნეს, რომელიც „ლიდსში“ 1965-84 წლებში თამაშობდა. გრეიმ უკვე მოასწრო და თქვა, რომ ავსტრალიელ მარკ ვიდუკას ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად დაბრუნებს, რადგან მისი დონის ფეხბურთელის მოცდენა ცოდვაა.

ედი გრეის პირველი გამოცდა 22 ნოემბრის საშინაო მატჩში „ბოლტონის“ წინააღმდეგ ელის.

ვაჟა ხუციშვილი

ბაცანია და არა ბაცანა

მილანის დავიწყებული ლივერპულმა გაიხსენა

სერია A-ში წლეულს დაბრუნებული გენუის „სამპდორიას“ თავდამსხმელით ფაბიო ბაცანით „ლივერპულია“ დაინტერესებული. „ენფილდ როუდის“ ბინადრებს, როგორც ჩანს, მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი, ელ-ჰაჯი დიუფი, ჰარი კიუელი და მილან ბაროში არ აკმაყოფილებთ და კრიზისიდან გამოსვლის გზას ახალი ფორვარდის შეძენაში ხედავენ.

გასულ უქმეებზე „სამპდორიასა“ და „ემპოლის“ შეხვედრას თურმე ჯერ კიდევ ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის ორი დამკვირვებელი დასწრებია და საკმაოდ კმაყოფილნიც დარჩენილან. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი გენუელებმა 2:0 მოიგეს, ხოლო ბაცანიმ მორიგი გოლი მიითვალა.

„პერუჯას“ ყოფილ ფორვარდს წინსვლაში ეროვნულ ნაკრებში გამოძახებაც დაეხმარება. 27 წლის ფეხბურთელს ეს ბედნიერება ბერნარდო კორადის დაშავების შედეგად ხვდა წილად.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბაცანის ამ სეზონის დასაწყისში თვით ჩემპიონთა ლიგის მომგები „მილანი“ აკვირდებოდა, თუმც საქმე წინ აღარ წასულა. ინგლისელები კი გაცილებით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

გიორგი ძაძაგაძე



ფაბიო ბაცანი

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი

ლაცი შაბათზე

ჟორას ნერვიულობა, საშიში თოში და ნისტელროის ამნისტია

სანამ ჩემპიონთა ლიგა 25 ნოემბრამდე ისვენებს, უეფა არანაკლები ულუფით გვთავაზობს თავშესაქცევს — 15 ნოემბერს ევრო 2004-ის შესარჩევის პლეი ოფის პირველი მატჩებია — ათი გუნდი ხუთ პორტუგალიურ საგზურს მოაქუჩებს და თექვსმეტგუნდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააღწევს. სადღეისო ამბები კი ამ გუნდებში კი ასეთია

რუსეთი — უელსი

რუსეთში გაეხარდათ, რომ გადათამაშებაში უელსი შეეფეთათ — უელსი მაინც უელსია, თანაც ბრიტანელებთან რუსებს თამაში არ გვიჭირსო — ზოგადად ასეთია რუსის ლოგიკა. თუმცა რუსთა მთავარსარდალი გიორგი იარცევი ნერვიულობს — ზოგი მისი ფეხბურთელი ფორმაში არაა, ზოგიც ზედმეტად თავდაჯერებულია საუელსოდ. რუსეთის ნაკრები საამატჩო მზადებას გუშინწინ შეუდგა მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში, ხოლო გუშინ იარცევმა პრესკონფერენცია გამართა.

გიორგი იარცევმა და ნიკიტა სიმონიანმა უელსზე თავშეკავებით ილაპარაკეს

„ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენი ბევრი ფეხბურთელის არასათანადო ფიზიკური კონდიციებია. რუსეთის ნაკრების მოთამაშეები სხვადასხვა ქვეყნებში და განსხვავებულ საფეხბურთო ლიგებში თამაშობენ, რის გამოც მათ სხვადასხვა მოთხოვნები აქვთ და სხვადასხვანაირად არიან მომზადებულნი. ჩვენი ამოცანაა, ისინი მეტნაკლებად ერთნაირ ფიზიკურ მზადყოფნაში მოვიყვანოთ" — უთქვამს იარცევს, რომელმაც ისიც იგულისხმა, რომ რუსეთის ჩემპიონატი უკვე დასრულებულია და ნაკრებში იქიდან მოწვეული ფეხბურთელებიც ჰყავს.

იარცევმა პრესკონფერენციაზეც სცადა, გაეფრთხილებინა ფეხბურთელები ზედმეტად თავდაჯერებულები ნუ იქნებითო: „უელსი ძლიერი და სერიოზული მეტოქეა, რომელმაც საკმაოდ ძლიერ ჯგუფში დაიკავა მეორე ადგილი". ჟურნალისტებთან საუბარი კი ნაკრების 55 წლის თავკაცმა ასე დაასრულა: „ძალიან მოტივირებულნი ვართ პორტუგალიაში მოსახვედრად".

ესპანეთი — ნორვეგია

დედაქალაქის გარეუბანში შეუდგა მზადებას ესპანეთის ეროვნული გუნდიც, რომელიც შაბათს ნორვეგიას უმასპინძლებს. ესპანეთს ძალიან კარგი ფეხბურთელები კი ჰყავს, მაგრამ ინაკი საესის გუნდი ვარსკვლავებს ნაღდად ვერ ეთამაშება და ჯგუფში ოტო რეჰაგელის გაწვრთნილ საბერძნეთსაც ამად ჩამორჩა.

ესპანეთის ნაკრებში საეჭვოა „ბეტისის" 22 წლის ნახევარმცველ ხოაკინის თამაში. მას ახლა საგანგებო ტესტს ჩაუტარებენ საზარდულზე, თუმცა ხოაკინს მუცელიც ასტკივდა და ვინძლო ნაკრების მიღმაც დარჩეს. „ვფიქრობ, საკმარისი დრო მაქვს გამოჯანმრთელებისთვის — ამბობს ფეხბურთელი, მაგრამ საესი არ ითმენს — ერთი დღეც და თუ ხოაკინი ვერ მომჯობინდა, მისი შემცვლელი უნდა ავიყვანოთ".

რისი იმედი აქვს ნორვეგიას ესპანეთთან? პირველ რიგში ამინდის პროგნოზის — 19 ნოემბერს, მეორე მატჩში ოსლოში კაი თოშია მოსალოდნელი. ამაზე საესმაც მოაღო ყბა და ალბათ თავისებურად იზღვევს კიდეც თავს: „ოსლოური ამინდი ჩვენი გუნდისთვის დიდი გამოწვევა იქნება".

ნოემბრის მეორე ნახევარში ნორვეგიაში ტემპერატურა მინუს 10-15 გრადუსამდე ეცემა. თუმც, ნორვეგიის მეტოროლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი ოდგარ იენსენი ესპანელი კოლეგებისგან განსხვავებით ირწმუნება, 19 ნოემბრისთვის ტემპერატურა ნულის ზევით იქნება და შესაძლოა, პლუს 5 გრადუსამდეც ავიდესო. ესპანეთში კი სკანდინავიური სუსხის ეშინიათ და 1997 წლის ნოემბერი ახსენდებათ, როცა ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბურგმა" შინ 2:0 მოუგო მადრიდის „რეალს" — მაშინ თერმომეტრი მინუს 10 გრადუსს აჩვენებდა.



საქმე იქეთკენ მიდის, ხოაკინის შემცვლელის პოვნა ინაკი საესს მალე მოუწევს

შოტლანდია — ჰოლანდია

ჰოლანდიას მეტოქედ შოტლანდია ერგო და ამას ნიდერლანდთა თავკაცი დიკ ადვოკაატი ისე შეუშინებია, რომ ნაკრებში რუუდ ვან ნისტელროის და კლარენს ზეედორფს უხმო. შეგახსენებთ, რომ ნასტელროი ადვოკაატმა შესარჩევი ჯგუფის ბოლო შეხვედრაში მოლდოვასთან არ გამოიძახა, რადგან წინა მატჩში ჩეხეთის წინააღმდეგ შეცვალა და ამით გაბრაზებულმა ნასტელროიმ ჯერ დემონსტრაციულად დააფურთხა ძირს, მერე კი წყლიან ბოთლს მოუქნია ფეხი. რაც შეეხება ზეედორფს, ის აგვისტოს მერე ნაკრებში არ გამოუძახიათ. მაგრამ, რახან მარკ ვან ბომელი თიაქარზეა ნაოპერაციევი, მილანელი კლარენსი ეროვნულ გუნდში დააბრუნეს.



რუუდ ვან ნისტელროი

ჰოლანდია

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

მცველები: მიხაელ რაიციგერი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), ფრანკ დე ბური (გალათასარაი, თურქეთი), ანდრე ოიერი (პსვ ეინდჰოვენი), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), ბუდეკინ ზენდენი (მიდლსბრო, ინგლისი);

ნახევარმცველები: უესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი (ორივე აიაქსი), პოლ ბოსველტი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), ფილიპ კოკუ, მარკ ოვერმარსი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), ანდი ვან დერ მეიდე (ინტერი, იტალია);

თავდამსხმელები: რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), როინ მაკაი (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)

ლატვია — თურქეთი





ალფაი შენოლ გიუნეშმა შეიწყალა

მუნდიალის ბრინჯაოსანი თურქეთის ნაკრები შაბათს რიგაში დაეჯახება ლატვიას. ოსმალებმა შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე ინგლისი გაუშვეს — ბოლო ტურში შინ ბრიტანელებს ვერ მოუგეს. თურქთა დამრიგებელი შენოლ გიუნეში ერის წინაშე ვალის გადახდაზე ალაპარაკებულა: „დაუბრკოლებლად გვინდოდა პორტუგალიაში მოხვედრა, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ — ეს ახლა პლეი ოფის გავლით უნდა შევძლოთ. ამის გამო ერის ვალი გვმართებს და ის უნდა გადავიხადოთ. ლატვიის არ გვეშინია, მაგრამ მეტოქესთან თამაშს დიდი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ".

„გალათასარაის" შემტევი და წინა მუნდიალის ერთ-ერთი გმირი ჰასან შაში კი დასძენს: „იოლი კი ჩანს, მაგრამ რთული მეტოქე გვყავს. აგრესიულად ვითამაშებთ, რათა მეორე მატჩისთვის საქმე გავიადვილოთ. თუ ჩვენი კლასის ჩვენება გვსურს, შმაგად უნდა ვებრძოლოთ".

გიუნეშმა ნაკრებში კვლავაც უხმო მცველ ალფაი ოზალანს, ვინც დეკიდ ბექემს შეაფურთხა. გუნდს ხვალ შეუერთდება ბლექბერნელი შუახაზელი თუგაი ქერიმოღლუ. მცირე ტრავმა აქვს ლეგერკუზენელ პლეიმეიკერ ილდირაი ბაშთურქს, მაგრამ ის ალბათ მაინც ითამაშებს რიგაში.

ნორვეგია — სლოვენია

შუაგულ ევროპაში ექსიუგოსლავიური დაპირისპირებაა — სლოვენია ალბათ ვერ გადალახავს ხორვატიულ ზღუდეს, თუმც, ვინ იცის. სლოვენიას არ ეყოლება „ლეჩეს" ფორვარდი სებასტიან ჩიმიტორიჩი, ვისაც ქუსლი აქვს საოპერაციო. მას „მურსიას" შემტევი ერმან რაკოვიჩი შეცვლის. სლოვენიელთა თავკაც ბოიან პრასნიკარს მეკარის საკითხიც აწუხებს — გუნდის პირველი გოლკიპერი მარკო სიმუენოვიჩი მხარის ტკივილებს შეუწუხებია და უკვე ორი კვირაა, რაც სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

დავით თამართაძილაძე

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ...
რა უნდა მეკეთებინა მანჩესტერში?
უკვირს 40 წლის პაპენს და ოქროს ბურთი ანრისთვის ემეტება



წინა უქმეებზე ჟან-პიერ პაპენი ორმოცი წლისა მოიყარა. პაპენი, მოგეხსენებათ, ფრანგია, ანუ იმ ქვეყნის შვილია, სადაც 40 წელს არ ულოცავენო, ეგეთი ცრურწმენა არ აქვთ.

და თუ ვინმეს არ ახსოვს ვინ იყო და რას მიაღწია პაპენმა, შევახსენებთ, რომ ის არის:

1996 წლის უეფას თასის მფლობელი;
1989-92 წლებში საფრანგეთის ჩემპიონი;
1993-94 წლებში სკუდეტოს მფლობელი;
ბელგიის და საფრანგეთის თასების და იტალიის სუპერთასის მფლობელი;
ზედიზედ ოთხი სეზონის მანძილზე საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი;
ევროპის „ოქროს ბურთის“ მფლობელი.
„ფრანს ფუტბოლმა“ თავისი ქვეყნის დიდ ფეხბურთელს დაბადების დღე მიულოცა და ეს ინტერვიუ ჩამოართვა

— ჟან-პიერ, 40 წლის ასაკში თავს როგორ გრძნობთ?

— როგორ ამბობს ჩვენი კლასიკოსი? ცხოვრების შუაგულს მივაღწიეო... მიხარია, რომ თამაში ისევ შემიძლია. ალბათ, ერთი წელი კიდევ ვითამაშებ.

— ფეხბურთის თამაში ისეთივე სიამოვნებას განიჭებთ, როგორსაც ოცი წლის წინ?

— რა თქმა უნდა. ამ სეზონში ერთი მატჩიც არ გამიცდენია. მერე რა, რომ ჩემი „კალ-ფერე“ უდაბლეს დივიზიონში თამაშობს. თუმცა არა, ვცდები, ერთი თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე.

— ეს როგორ დაგემართათ?

— უბრალოდ, მოედანზე გასაქანს არავის ვაძლევ და ვიუხეშე.

— პირად სტატისტიკას არ აწარმოებთ?

— ამას კლუბი აკეთებს. მაგალითად, შარშან 54 გოლი დამიგროვდა.

— დაბალ დივიზიონში თუ დადის ხალხი პაპენის სანახავად?

— ერთ ამბავს მოგიყვებით. წინა სეზონში პაწაწინა ქალაქ ფიუმელში გვქონდა გასვლა. იქ, როგორც წესი, თამაშს ათ მაყურებელზე მეტი არ ესწრება. ჩვენ რომ ჩავედით, 800 კაცი მოვიდა. სხვათა შორის, ჩემი მონაწილეობით ყველა მატჩის მთლიანი შემოსავალი ქველმოქმედებას ხმარდება.

— როგორი დღის განრიგი გაქვთ?

— დილას ბავშვები სკოლაში მიმყავს. მერე ერთი საათი დავრბივარ უმცროს ქალიშვილთან და ჩემს ორ ძაღლთან ერთად. ამის მერე ჩოგბურთს ვთამაშობ. მე ხომ პროფესიონალი ჩოგბურთელიც ვარ და ტურნირებში ვმონაწილეობ.

— ალბათ ჩოგბურთშიც შემტევ სტილს ამჯობინებთ...

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. მეტწილად უკანა ხაზზე ვთამაშობ.

— როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ასეთი სახელიანი ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელობის დიდი სურვილი აქვს, სამუშაოს ვერ პოულობს?

— ალბათ, სწორედ დამსახურებების გამო. საფრანგეთში მწვრთნელები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ სამუშაოს. მე მათთვის საშიში კონკურენტი ვარ.

— თქვენი თაობის ფეხბურთელები ახლა სად არიან?

— საერთო ჯამში, არსად. პოლლე გუენი და დიდიე დეშანი პირველი დივიზიონის კლუბებს კი წვრთნიან, მაგრამ ისინი გამონაკლისები არიან. დანარჩენები კი საკუთარი ადგილის ძიებაში არიან.

— მართალია, რომ ერთ დროს თქვენი გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა?

— მართალია. მეტიც, ჩვენ თითქმის მივაღწიეთ შეთანხმებას. მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, მიხარია, რომ მაშინ კონტრაქტს არ მოვაწერე ხელი. რა უნდა მეკეთებინა მანჩესტერში? იმ ქალაქში ხომ ფრანგული სკოლაც არ არის. ჩემს ცოლს, ფლორანსსაც მობეზრდა გაუთავებლად აქეთ-იქით ხეტიალი.

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ - ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ“, ᲛᲘᲡᲐᲛᲔ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲢᲣᲠᲘ, ᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲔᲕᲠᲝᲪᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲑᲐᲢᲩᲘᲗᲘ (19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ), ᲛᲘᲡᲐᲛᲔ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲛᲔ-9 ᲓᲐ ᲛᲔ-10 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ,ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ირაკლი აბუსერიძე: მსოფლიოს თასზე ყველაფერი გვაკლდა

ირაკლი აბუსერიძე ხუთი წლის განმავლობაში ათამაშებდა ბურთს საქართველოს ნაკრებში და საქმეს ურიგოთ არ უძღვებოდა. მწვრთნელი კლოდ სორელიც ენდობოდა , მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად მსოფლიოს თასის ზოგ მატჩში აბუსერიძე საერთოდ არ გამოჩენილა ძირითად შემადგენლობაში. ირაკლი დღეს „ორიიაკშია" ექსბორჯღალოსან მევლუდ მთიულიშვილთან ერთად. მას იქ დავუკავშირდით და მსოფლიოს თასზე ჩვენი ნაკრების გამოსვლაზე გავესაუბრეთ

კლოდ სორელმა ირაკლი აბუსერიძე ავსტრალიაში მოედანს გააცილა

— ძნელია ახსნა, რაც მოხდა. მსოფლიოს თასზე ჩვენს გამოსვლას ორი მხარე აქვს, გაჩნია საიდან შეხედავ- თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. ჩვენ მსოფლიოს ოც საუკეთესო ნაკრებში მოვხვდით. მსოფლიოს თავი გავაცანით, მაგრამ ბოლოს თავი იჩინეს პრობლემებმა და როგორც გვინდოდა, ისე ვერ ვითამაშეთ.

— ვერ თამაშში რას გულისხმობ?

— იმას, რომ ჩვენ ავსტრალიაში ურუგვაის დასამარცხებლად ჩავედით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

— რატომ?

— ამის ბევრი მიზეზია. უმთავრესად არასწორი სტრატეგია-ტაქტიკა და ფსიქოლოგიურად ჩვენი მოუმზადებლობაა. ურუგვაისთან რაღაც დაგვემართა, თითქოს შებორკილები ვიყავით. ფსიქოლოგიური წნეხი გვქონდა. ვიცოდით, რომ ამ მატჩის მოსაგებად ვიყავით ჩამოსული და რომ არ მოგვეგო, კრიტიკა არ დაგვაკლდებოდა. თანაც იმ მატჩში ბევრმა გამოუცდელმა მორაგბემ ითამაშა. ალბათ მათმა ნერვიულობამ და დაძაბულობამ საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა იქონია.

— შემადგენლობის შეცვლა ახსენე. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო თუ სორელს სხვა რამე ჰქონდა ჩაფიქრებული?

— არ ვიცი. სორელი ყოველ მატჩში ცვლიდა შემადგენლობას. ეს ნაბიჯი ჩემთვის დღემდე გაუგებარია. საუბარი იყო, რომ „მომავლის ნაკრები" უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ რაც მივიღეთ, ყველა ვნახეთ. მე არავის არ ვუპირისპირდები, არც ახალბედების მიმართ მაქვს პრეტენზიები, თუმც გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტი შეცდომა არ უნდა დაშვებულიყო.

— რა შეცდომა?

— შეცდომა იყო ვეტერანთა ამ მსოფლიოს თასზე არ წამოყვანა. ისინი თუ არ გააკეთებდნენ, არ გაფუჭებდნენ საქმეს. ყველანი ჩემი ძმები არიან, ძველებიც და ახლებიც. ისე არ გაიგოთ, თითქოს ახალბედებისადმი ცუდად ვიყო განწყობილი. პირიქით, მათ უნდა ატარონ სამმავლოდ ბორკილიანი მაისურა და მათ უნდა გაახარონ ხალხი. უბრალოდ სორელს თუ მათი მსოფლიოს თასზე გამოყვანა უნდოდა, ადრევე უნდა შეეჩვია ნაკრებისთვის. უცბად დამატებული ხალხი ვერც ნაკრებს ერგება და ვერც ტაქტიკას. სორელმა ვერ გათვალა.

— სანამ სორელის და ნაკრების ურთიერთობაზე გკითხავდე, მოდი მსოფლიოს თასზე თქვენ თამაშს სხვა კუთხით შევხედოთ. გასაგებია, რომ ამით მსოფლიოს თავი გააცანით. მაგრამ გულშემატკივარმა ვერ დაინახა სარაგბო საქართველო.

— მართალია, მეტი შევეგძლო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვერ ვითამაშეთ იმიტომ, რომ არეულები ვიყავით. ურუგვაის აწი რომ ვეთამაშოთ, ათიდან შვიდ თამაშს მოვუგებთ. მაშინ ახალბედებმა ალბათ ძალიან ინერვიულეს. ეგეთი რაღაცეები ადრეც გვემართებოდა. მაგალითად რუსეთთან ფრედ დასრულებული მატჩი ავიღოთ. ალბათ გადამწყვეტი თამაშის მოსაგებად ფსიქოლოგიური მზადყოფნა გვაკლია.

— მარტო ფსიქოლოგიურ მომენტს ვერ დავაბრალებთ ოთხივე მატჩში წაგებას.

— რა თქმა უნდა, ჩვენ არც ოსტატობა გვეყო, არც ცოდნა და არც მწვრთნელის ხელი. ნაკრებს საერთოდ არ ჰქონდა ტაქტიკა, არც ზოგადად მსოფლიოს თასისთვის და არც კონკრეტული მატჩისთვის.

— ეს ვისი ბრალია?

— ყველასი, მორაგბეებისაც და უფროსობისაც. ჩვენ, მორაგბეებმა ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ მითითებაც ისეთი იყო, რომ შეცდომას ვერსად წაუხვიდოდი.

— მაინც?

— იტალიასთან ტესტამდე სხვა ტაქტიკას ვამუშავებდით. იტალიის მერე კი აღმოჩნდა, რომ ხელ ხელ, რაღაც დაცვითი ტაქტიკით უნდა გვეთამაშა. ამისთვის აღარც დრო იყო და აღარც შესაძლებლობა. რაც ვიცოდით ის ვითამაშეთ. დანარჩენის დახვეწა ველარ მოვასწარით.

— გამოდის, რომ მორაგბეებმა რაც იცოდით, ის ითამაშეთ. მწვრთნელმა კი, რაც უნდოდა, ის დაგავალათ.

— შეცდომაც ეგ არის. არც ერთი ვიყავით მზად და არც მეორე. ასე ვთქვათ, შესაძლებლობების და სურვილის დაპირისპირება მოხდა. ეს ჩვენი ბრალიცაა და მწვრთნელისაც.

— კონკრეტულ დასკვნამდე ვერ მიხვედით. მაინც რა მოხდა?

— ის, რომ ჩვენ, მორაგბეებმა რაც შეგვეძლო ვითამაშეთ, რაც გვითხრეს ის გავაკეთეთ. მე მგონი, ცვლილებების დროა როგორც ნაკრებში, ასევე უფროსობაში. ისე არ გამიგოთ, თითქოს სორელის წინააღმდეგი ვიყო. უბრალოდ, საქართველოს ნაკრებმა იმ დონეს მიაღწია, რომ ახლა კვალიფიციური მწვრთნელი სჭირდება. არც მორაგბეები ვართ მამა-აბრამის ბატკნები, მაგრამ დროა შერწყმა მოხდეს, ცოდნა და შესაძლებლობა ერთმანეთს გაუთანაბრდეს. ერთი სიტყვით, ასაწყობია სარაგბო მეურნეობა. სორელმა გზა გვანახა. აწი ამ გზაზე ვიღაც სხვამ უნდა დაგვაყენოს.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ბავშვთა რაგბიდან დაწყებული ქართული საკლუბო რაგბით დამთავრებული მეურნეობა მოსაწესრიგებელია. თუ ამას მიევლო, ქართული რაგბი წინ წავა. თუ არა და ამ მსოფლიო თასით დამთავრდება ყველაფერი.

გაჩო სვანიძე

სუბარუზე ბიჭი დასვი, გაიცვლის და წინ დაგხვდება

ჯვირას დასრულებულ მერალეთა 25-ე ჩემპიონატში ნორვეგიელმა პილოტმა პეტერ სოლბერგმა და მისმა უელსელმა თანამძღოლმა ფილ მილსმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს. სოლბერგი, რომელიც 18 ნოემბერს 29 წლისა ხდება, პირველი ნორვეგიელი ტრიუმფატორი შეიქნა რალის მეოთხედსაუკუნოვან ისტორიაში. ექვსწლიანი კარიერა პეტერმა „ტოიოტაში" დაიწყო და სამ სეზონში ხელშესაღებ წარმატებებსაც მიაღწია, ყოველ შემთხვევაში, „დისკო-ჰოლივუდის" ამჟამინდელი შედეგი მოულოდნელი არავისთვის გამხდარა

2003 წლის მსოფლიო ჩემპიონი ავტოსპორტს სიყმაწვილეშივე ეზიარა. ის ჯერ კიდევ თერთმეტი წლისა იყო, მამას სარალო მანქანების შეკეთებაში რომ ეხმარებოდა. საკუთრივ სპორტული კარიერა კი პეტერმა 13 წლისამ დაიწყო, როცა რადიომართული მანქანების კატეგორიაში ნორვეგიის ჩემპიონი გახდა.

„რეალურ" რალიში სოლბერგი 1992 წლიდან მონაწილეობს. თავდაპირველად ის ჯერ მხოლოდ რალიკროსში გამოდიოდა, მერე კი სამთო რბოლებშიც სცადა ბედი. 1995-მდე პეტერი „ფორტ ესკორტზე" იჯდა, ამ წლიდან კი „ვოლვო 240-ის" საჭე ჩაბღუჯა და ორსავე სახეობაში ნორვეგიის ჩემპიონობა მოიპოვა. იგივე განმეორდა მომდევნო წელსაც, როცა მან 21 რბოლიდან 19-ში იმარჯვა.

1996 წლის სექტემბერში სოლბერგმა პირველად მიიღო მონაწილეობა რალიში. რბოლაში ის უფროსი ძმის „ტოიოტა სელიკათი" გავიდა. დებიუტი უიღბლო გამოდგა — სოლბერგმა მანქანა ავარიაში დააზიანა.

1997-ში პეტერი სარბიელზე ტომას რადსტრიომის მიერ ნატარები „სელიკათი" გამოჩნდა და, თუკი სამთო რბოლებში კვლავ ჩემპიონი გახდა, ნორვეგიის სარალო პირველობაზე უკვე მეხუთე ადგილს უწია.

მომდევნო სეზონიდან ის მსოფლიოს სარალო ჩემპიონატზე გამოდის. 1998 წელი მან კვლავ „სელიკათი" იარა და შვედეთში, თავის პირველსავე სამსოფლიოჩემპიონატო ეტაპზე მეთოთხმეტე ადგილი დაიკავა.

1999 წელს ის „ფორდს" შეუერთდა. „საფარის" რალის წინ გუნდმა მას დაშავებული რადსტრიომის შეცვლა სთხოვა და სოლბერგმაც თავის სადებიუტო აფრიკულ რბოლაში მეხუთე ადგილი მოიხვეჭა. ათეულშივე დაამთავრა იმ წელს დიდი ბრიტანეთის რალიც.

2000 წლიდან ის უკვე „დიდ მოთამაშეთა" შორისაა. იმ სეზონში კვლავ მეხუთე ასრულებს საფარის რალის, მეექვსეა არგენტინაში და მეოთხე ახალ ზელანდიაში. მაგრამ ფინეთში მომხდარი ავარიის შემდეგ მისი და „ფორდის" თანამშრომლობა სრულდება. სოლბერგი „სუბარუში" გადადის.

სწორედ „სუბარუში" ყოფნისას მოახერხა მან 2001 წელს საბერძნეთში მეორე, არგენტინასა და კორსიკაში მეხუთე, ხოლო შვედეთში მეექვსე ადგილზე გასვლა. ეს საკმარისი გამოდგა, რათა ჯამში მეათე ადგილი დაეკავებინა.

2002 წელს სოლბერგმა თავისი პირველი ეტაპიც მოიგო და სეზონიც მეორეზე, მარკუს გრონჰოლმის უკან გაასრულა. წლის განმავლობაში ის ბევრჯერ ავიდა პოდიუმზე, მაგრამ მოგებით მხოლოდ ბოლო, დიდბრიტანული ეტაპის მოგება შეძლო.

წლეულს კი მან უკვე ოთხ ეტაპზე იმარჯვა. დაიწყო კვიპროსით, გააგრძელა ავსტრალიით, მერე პირველი „საასფალტო" გამარჯვება იზეიმა „ტურ დე კორსზე" და ყველაფერი ისევ დიდბრიტანული მოგებით მოამთავრა, მოგებით, რამაც მას ჯამში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოანაგვრინა.

„ეს დაუჯერებელია, მე მსოფლიოს უძლიერესი მერალე ვარ" — ასე ამბობდა სოლბერგი ბოლო ეტაპის შემდეგ.

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ წლიდან წლამდე მისი მაჩვენებლები სულ უფრო უკეთესი ხდებოდა, მის წლევანდელ ტრიუმფს მაინც ცოტა თუ წარმოიდგენდა.

სოლბერგი: „ზუსტად ახლაც ვერ გეტყვით, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. რაც დანამდვილებით ვიცი, ეს ის არის, რომ ჩვენმა გუნდმა ძალიან, ძალიან მაგრად იმუშავა. რამდენადაც დაიხარჯები, იმდენად მეტი დაგიბრუნდება — თითოეული ჩვენთაგანი წლეულს სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა და შედეგიც სახეზეა."

„ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი მაქვს. ექვსი წლიდან მანქანაში ვარ და სხვა არც არაფერი ვიცი, მეტი არც არაფერი მიკეთებია. ასე რომ, ამ ბედნიერების დაჯერება ახლა მართლაც მიჭირს."

„რაც შეეხება ბოლო ეტაპს, ყველაფერი ისე იყო, როგორც ერთი კვირით ადრე ჩემმა თანაგუნდელმა, ტომი მაკინენმა მითხრა — საშინელი დღეები გელის, სულ ჩემპიონობაზე იფიქრებ და ძილი გაგიტყდება, ამიტომაც, მაგრად უნდა იყოო. ჰო, მართლაც მძიმე დღეები იყო, მაგრამ მე მაინც შევძელი, სადაველები არ მიმეშვა, ნერვებს არ ავყოლოდი, კონცენტრაცია არ დამეკარგა... მინდა, უდიდესი მადლობა ვუთხრა ტომის, ეს ორი წელი მართლაც დაუჯერებელი იყო და ის მე საოცრად დამეხმარა. ამიტომ ეს გამარჯვება მრავალწილად მასაც ეკუთვნის."



ლევან კელაურაძე

„როზეტოსთან“ მატჩის შემდეგ ჟურნალისტები „ბენეტონის“ ქართველ მსროლელს მანუჩარ მარკოიშვილს გასახდელში არ უშვებდნენ. წამოვიდა კითხვების ნაკადი — „ეს როგორ მოახერხე?“ „რას ფიქრობდი, ამას რომ აკეთებდი?“ „მომავალ მატჩში რას იზამ?“ და ასე შემდეგ. ამ აფიოტაჟის მიზეზი კი ჭაბუკი ბენეტონელის საუცხოო თამაში იყო. ქართველმა თინეიჯერმა სერია A-ს მატჩში 24 წუთში 18 ქულა მიითვალა.

ამ თამაშის ჩანაწერს „ტაუს“ მწვრთნელი ნახავს და აბა, შენ იცი, თავი არ შეირცხვინოო — ეს უკვე „ბენეტონის“ მწვრთნელ ეტორე მესინას სიტყვებია: „ბენეტონი“ „ტაუს“ დღეს ეთამაშება ევროლიგის პრინციპულ მატჩში

გაბედე და მოგეცემა

ტაუს მწვრთნელი მარკოიშვილზე გადაერთო

— ბოლო მატჩებში შეუმჩნეველი იყავი, „როზეტოსთან“ კი თავი გამოიჩინე...

— მატჩამდე მწვრთნელმა დამიბარა და ძალიან სერიოზულად მელაპარაკა. მითხრა, რომ ბოლო თამაშები ჩავაგდე და განსაკუთრებით „სიცილიასთან“ წაგებულ შეხვედრაზე გაამახვილა ყურადღება. არ გეგონოს გცდიდე, შენს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ, რაც შეგიძლია, ის ითამაშე და არაფერზე ინერვიულო. მესინას სიტყვებმა ეტყობა, დამაჯერებლობა შემმატა და ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია.

— აქამდე შედარებით ცოტა ხნით გათამაშებდნენ...

— გუნდის ლიდერები ხორხე გარბახოსა და მარსელო ნიკოლა არიან დაშავებულნი, „როზეტოსთან“ მატჩის დღეს კი მორის ევანსსაც სიცხე მისცა. თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ სასტარტოში ვითამაშებდი, მაგრამ მესინამ შემდეგ გადაფიქრა.

— საკმაოდ შედეგიანი იყავი, ასე იოლად როგორ ახერხებდი ქულების გროვებას?

— რა ვიცი, ალბათ უფრო გამბედავად ვუტევდი, რადგან ჩვენი დაცვა ძალიან კარგად თამაშობდა. თანაც იღბალიც წამეშველა, 4 სამქულიანი ჩავაგდე.

— მატჩის შემდეგ მწვრთნელმა რა გითხრა?

— მწვრთნელამდე ვინ მიმიშვა, გასახდელთან ჟურნალისტები დამხვდნენ და კარგა ხანს აღარ გამიშვეს. ვინ რას მეკითხებოდა, ვინ რას. ზოგიერთმა ისეთი რაღაც მკითხა, კალათბურთს რომ არ ეხება.

— ბოლოს და ბოლოს ხომ შეხვდი მწვრთნელს...

— მესინამ შემაქო და მითხრა, „ტაუს“ მწვრთნელი ნახავს ამ მატჩის ჩანაწერს და შენ იცი, ძალიან მოინდომეო.

— ესე იგი, აპირებს, რომ ევროლიგაშიც გათამაშოს...

— რაკი ეს მითხრა, ალბათ მათამაშებს კიდეც.

— ევროლიგა ვახსენეთ და ამ ტურნირის პირველ ტურში ვალენსიურ „პამესასთან“ შერცხვით...

— „პამესასთან“ პირველივე მეოთხედში წავაგეთ, როცა ჩვენი თავდამსხმელი ხორხე გარბახოსა დაშავდა. ამის შემდეგ ვალენსიელთა სერბმა მეფარემ დეიან ტომაშევიჩმა გაილაღა, ვერაფრით შევაჩერეთ.

— ხვალ „ტაუსთან“ პრინციპული მატჩი გელით და ახლა ალბათ ისვენებ. ისე, თავისუფალ დროს როგორ ერთობი?

— ხუმრობით გეტყვი: არასწორი კითხვაა, რადგან როცა მე მელაპარაკები, ან კალათბურთზე უნდა მკითხო, ან იმაზე, თუ როგორ ვისვენებ კალათბურთისგან. გასართობად სად მცალია, თავისუფალ დროს შინ ვარ და კომპიუტერს ვთამაშობ, ანაც ამერიკელ მორის ევანსს დომინოს, ან ჭადრაკს ვეთამაშები.

— ეგ ის ევანსია, ნბა-ში რომ თამაშობდა?

— ჰო, მორის ევანსს ერთი სეზონი „მინესოტაში“ გაუტარებია, მაგრამ უკვე კარგა ხანია, ევროპაში თამაშობს. სხვათა შორის, გუშინ გახდა 25 წლის და სუფრა აქვს საკისრებელი. რაკი სიცხე აქვს, რამდენიმე დღე გადავუწიეთ.

ირაკლი პერტაია

ცქიტიშვილი კარგა ხნით ჩამოჯდა



REUTERS ფოტოდან

დენვერელი ერლ ბოიკინსი და ჩიკაგოელი კირკ ჰაინრიხი ბურთისთვის შებმულან

— 10 ნოემბერი —

ჩიკაგო 97:105 დენვერი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (10), გილი (16), რობინსონი (8), მარშალი (14), კარი (20); როუზი (7), კროუფორდი (6), პიპენი (8), ბლუნტი (2), ბაქსტერი (6), ჯონსონი

დენვერი: მილერი (15), ბერი (19), ენტონი (26), ილარიო (12), კემბი (6); ბოიკინსი (14), ელსონი (6), **ცქიტიშვილი** (8 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), ვაიტი (3), ბოუენი

მემფისი 105:95 ლეიკერსი

მემფისი: გასოლი (22 ქულა, 11 მოხსნა), პოუზი (15)

ლეიკერსი: ონილი (20 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (19)

კლივლენდი 94:80 ნიუ იორკი

კლივლენდი: მიზი (19), ჯეიმსი (17)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (22)

გოლდენ სტეიტი 96:99 ფინიქსი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (22)

ფინიქსი: მარბერი (22)

სან ანტონიო 87:78 იუტა

სან ანტონიო: ჯინობილი (18)

იუტა: ჰარპრინგი (11)

დიდი ტვინის ჭყლეტისა და ბევრი წაგების შემდეგ „დენვერის“ მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა თავის ახალგაზრდულ გუნდს კონკრეტული სათამაშო სქემა მოუნახა და ამ სქემაში ნიკა ცქიტიშვილი ეპიზოდურ როლს თამაშობს.

დენვერელებმა მეშვიდე მატჩში მესამეჯერ იმარჯვეს, რაც სამარცხვინო წინა სეზონთან შედარებით გადასარევი შედეგია. ეს გამარჯვება განსაკუთრებით ეამა ბზდელიკს, რადგან „დენვერის“ მწვრთნელმა თავის მშობლიურ ქალაქ ჩიკაგოში იძალა.

„ჩიკაგოში გამარჯვებას სულ სხვა გემო აქვს — უხაროდა ბზდელიკს — ეს ჩემი ქალაქია და რაღაც განსაკუთრებულს ვგრძნობ აქაურების დამარცხებისას.“

ბზდელიკმა რომ მძაფრი შეგრძნებები განიცადა, ჯუჯა ერლ ბოიკინის დამსახურებაა. ყოფილმა გოლდენსტეიტელმა გამთამაშებელმა ბევრი არგო ბეჩავ დენვერელებს — აგერ, უკვე მერამდენედ პირადი ძალისხმევით ამარჯვებინებს თავის ახალ გუნდს.

ბოიკინსმა ბოლო წუთზე უშორესი სამქულიანით „დენვერი“ 100:97 დააწინაურა. „ხუთ ქულას ვიგებდით, როცა სროლა გამიცუდდა — ამბობდა ერლი — სწორედ ამის შემდეგ გაგვითანაბრეს ჩიკაგოელებმა და გადამწყვეტი სამიანიც რომ არ ჩამეგდო, ალბათ დარდი მომკლავდა.“

ბოიკინსი ნერვიულობას გადაურჩა, მაგრამ საგონებელშია ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც უკვე მერამდენე მატჩია, 7-8 წუთით თუ გაყავთ მოედანზე. როგორც ჩანს, ჩემპიონატის მატჩებში ბზდელიკს ცქიტიშვილის გამოცდისა და დაოსტატებისთვის აღარ სცხელა, გუნდს მოგება შეძლებია და მწვრთნელიც უფრო გამოცდილებს ენდობა.

„ცქიტომ“ ამჯერად 8 წუთი ითამაშა და 4 ქულა მოაგროვა. ნიკა მართალია, როცა ამბობს, თუ რამე არ გამომივიდა, მწვრთნელს უმალ გავყავარ მოედნიდანო. „ჩიკაგოსთან“ ცქიტიშვილი ყოჩაღად ჩაერთო თამაშში, ორი სროლა მიყოლებით ჩაგდო, მაგრამ შემდეგ ერთი გაუცუდდა, ორჯერაც ბურთი დაკარგა და ბზდელიკმა მესამე მეოთხედში საბოლოოდ გაიყვანა მოედნიდან.

ბურთის გარდიგარდმო კარგვა გახდა აბობოქრებული „ლეიკერსის“ „მემფისთან“ წახდენის მიზეზიც. სეზონის 5 მოგებით დაწყების შემდეგ შაკ-კობი-კარლ-გერის კომპანიამ უკვე მეორედ წააგო. ორი დღის წინ ლოსანჯელესელები ნიუ ორლეანში „კრაზანებისგან“ დაიკბინნენ, ახლა კი მემფისელი „დათვების“ ტორიც მოხვდათ.

ხელგამრჯე კობი ბრაიანტს მესამე მეოთხედში თითქოს დამბლა დაეცა, მიყოლებით სამჯერ დაკარგა ბურთი. ამ ვაი-საქმეში მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და მიჯრით ოთხჯერაც ჩააბარეს ბურთი მემფისელებს, რის შედეგადაც ლეიკერსელთა ზედიზედ შვიდი შეტევა ჩაიშალა. ეს საჩუქარი კარგად შეირგეს წოწოლა პაუ გასოლმა და მისმა დამქაშებმა. „მემფისი“ მესამე პერიოდის მიწურულს 76:58 დაწინაურდა და შემდეგ მხოლოდ ერთხელ გაუჭირდა, თუმც შეინ ბეტიემ ერთ შეტევაში ოთხი ქულა მიითვალა და კალიფორნიელთა ვაინაჩრობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

წვალებ-წვალებით, მაგრამ მაინც ამოდის ჭაობიდან „კლივლენდ კავალიერზი“ და ამაში ამ ნაფინაჩარ გუნდს ჭკუისკოლოფა ლებრონ ჯეიმსი ეხმარება. უანდერჯეიმსი ჯერაც ვერ გამოჯანმრთელებულ „ნიუ იორკს“ დააცხრა და ის ხალხი, რომლებსაც მისი შორ-ჩუბინობა არა სწამს, ცოტა ხნით მაინც გააჩუმა. წლევანდელი დრაფტის „მეფემ“ სამიდან სამივე სამქულიანი ჩაუგდო „ნიქსს“ და არც შორიახლო მანძილებიდან დააკლო ხელი.

„ყოველდღე მესმის, რომ თითქოს შორიდან სროლა მიჭირდეს. სნაიპერი ნაღდად არ ვარ, მაგრამ არცთუ ცუდად ვესვრი“ — თქვა ნამატჩევს ლებრონმა. ჯეიმსს კარგად შეეწყო მხიარული ჟღერადობის გვარის მქონე კრის მიმი, რომელიც ღრმა სათადარიგოა, მაგრამ გუშინწინ თავი წამოყო, 17 წუთში 19 ქულა, ანუ თვით ლებრონზე მეტი მოქაფა.

ირაკლი პერტაია

აღმოსავლეთი კონფერენცია			
ატლანტის დივიზიონი			
ვაშინგტონი	3	3	50,0
ბოსტონი	3	3	50,0
ფილადელფია	3	4	42,9
ნიუ ჯერსი	3	4	42,9
ნიუ იორკი	2	5	28,6
ორლანდო	1	6	14,3
მაიამი	0	6	0
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	6	1	85,7
დეტროიტი	5	1	83,3
ნიუ ორლეანი	5	2	71,4
ტორონტო	4	2	66,7
მილუოკი	4	3	57,1
ჩიკაგო	3	5	37,5
ატლანტა	2	5	28,6
კლივლენდი	2	5	28,6
დასავლეთი კონფერენცია			
მიუს დასავლეთის დივიზიონი			
ჰიუსტონი	4	1	80,0
მინესოტა	4	3	57,1
დალასი	4	3	57,1
იუტა	4	3	57,1
სან ანტონიო	4	4	50,0
დენვერი	4	4	50,0
მემფისი	3	4	42,9
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
სიეტლი	3	1	75,0
ლეიკერსი	5	2	71,4
ფინიქსი	3	3	50,0
საკრამენტო	3	3	50,0
გოლდენ სტეიტი	3	3	50,0
პორტლენდი	3	3	50,0
კლიპერსი	1	2	33,3

შვიდი მწვერვალი

შვიდ მწვერვალზე ბედის მაძიებელნი

მთამსვლელები სხვადასხვა მიზნით დადიან მთაში. ერთნი დაულაშქრავ მწვერვალებზე პირველასვლებით ცდილობენ ალპინიზმის ისტორიაში შესვლას, მეორეებს ურთულესი მარშრუტების დაძლევათა სიმრავლე იზიდავთ, ზოგსაც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანზე ასვლა დაუსახავს მიზნად ან ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრა. ამათგან პირველი ორი მიზნის მიღწევა გაცილებით პრესტიჟულია, მეორეთა მისწრაფება კი კოლექციონერობას უფრო ჰგავს, რაკიღა ძირითადად მრავალთაგან გატკეპნილი, კლასიკური მარშრუტებით ადიან მწვერვალებზე. თუმცა, ამ საქმეშიც არიან პირველები და ისტორია მათ სახელებსაც ინახავს.

რაინჰოლდ მესნერი

პირველი ადამიანი, ვინც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი დალაშქრა, სახელგანთქმული იტალიელი რაინჰოლდ მესნერი იყო. მას ამ მიზნის მისაღწევად თექვსმეტი წელიწადი დასჭირდა. მესნერის ამგვარ კოლექციაში პირველი მწვერვალი ნანგა პარბატი აღმოჩნდა, რომელზეც 1970 წელს ავიდა, დიადი მიზანი კი 1986 წელს ლჰოცზეზე დააგვირგვინა, როცა 42 წლისა იყო.

რაინჰოლდ მესნერი მთამსვლელობის ისტორიაში მრავალი განსხვავებულებით შევიდა, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ თოთხმეტივე რვაათასიანზე პირველამსვლელის სახელი იყო. მესნერი ალპინიზმის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავად იმისთვისაც წარმოგვიდგება, რომ მისი აქტიური მთამსვლელობის წლებში ის რვაათასიანები ამსვლელთაგან გაცკეპნილი არ იყო. მესნერის სახელი ამ ბუმბერაზებზე მეორე ან მესამე ამსვლელთა გასწვრივ წერია, ზოგ რვაათასიანზე ახალი მარშრუტი კი სწორედ მან გაკვალა. ამასთან, იქ პირველი ავიდა ყანგბადის بالونების გამოუყენებლად, რასაც დღესაც კი მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები თუ ახერხებენ. მათ შორის არიან ისინი, რომლებსაც თოთხმეტივე რვაათასიანი მესნერის შემდგომ დაულაშქრავს, ასეთი კი მხოლოდ ერთი აოეულია. თუმცა, ყველა მათგანი უყანგბადოდ რიდი ასულა იქ.

ასეა თუ ისე, რაინჰოლდ მესნერმა იმავე წელს, როცა რვაათასიანების კოლექცია შეაგროვა, ყველა კონტინენტის უმაღლეს პიკებზე ასვლებიც მაშინ დააგვირგვინა, რითაც გახდა პირველი ადამიანი, ვინც ორივე კოლექციის მოუყარა თავი. თუმცა, ყველა კონტინენტის უმაღლესი პიკების დალაშქვრაში მხოლოდ კანადელ პატრიკ მორს დაუთმო პირველობა, რომელმაც ოთხი თვით ადრე შეასრულა „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა.

რამდენიმე წლის წინათ „სარბიელის“ მკითხველს თოთხმეტივე რვაათასიანზე პირველასვლების ისტორია გავაცანით, ამჯერად კი თქვენი მზერა სწორედ იმ „შვიდი მწვერვალისკენ“ გვინდა გადავიტანოთ და გაგაცნოთ ყველა კონტინენტის უმაღლესი პიკი, მათზე პირველასვლების ისტორია და შეგახსენოთ ჩვენი თანამემამულენიც, რომლებსაც ქართველ მთამსვლელთაგან მათზე პირველებს გაუკვალავთ გზა. თუმცა, მანამდე ამ პროგრამით მოლაშქრე მთამსვლელთა სტატისტიკაზე შევნერღებით, უშუალოდ შვიდი მწვერვალის ათვისებას კი „სარბიელის“ ერთ-ერთი უახლოესი ნომრიდან დავიწყებთ.

უცნაურია, მაგრამ „შვიდი მწვერვალის“ სტატისტიკით სამი ქრონოლოგია არსებობს. საქმე ისაა, რომ „შვიდი მწვერვალის“ პროგრამით ავსტრალიის უმაღლეს პიკად მიჩნევის საკითხი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. უშუალოდ კონტინენტ ავსტრალიის უმაღლესი პიკი გახლავთ კოსციუშკო (2.230 მ), რომელიც იმ შვიდ მწვერვალს შორის ყველაზე დაბალია. ამდენად, ბუნებრივია, რომ მთამსვლელთა ნაწილი „შვიდი მწვერვალის“ პროგრამით სწორედ კოსციუშკოზე ადის.

მთამსვლელთა მეორე ნაწილი უმაღლეს მწვერვალად ჯაიას მიიჩნევს, რომელიც ზღვის დონიდან 4884 მეტრის სიმაღლეზეა აღმართული. განვმარტოთ: ჯაია მდებარეობს არა უშუალოდ კონტინენტ ავსტრალიაზე, არამედ ოკეანეთის ერთ-ერთ კუნძულ ახალ გვინეაზე, ინდონეზიის ტერიტორიაზე. ოკეანეთი კი როგორც ფიზიკურგეოგრაფიული ერთეული, მოგეხსენებათ, ავსტრალიის კონტინენტს ეკუთვნის.

და რაკი ყოველივე ამას მთამსვლელთა ერთი ნაწილი დაუბნევია, ამდგარან და ორივეზე ასულან, რითაც, ფაქტობრივად, რვა მწვერვალის პროგრამა შეუსრულებიათ. თუმცა, ყველანი მაინც „შვიდი მწვერვალის“ კოლექციონერებად ითვლებიან.

მაგრამ შვიდია თუ რვა, მკითხველი ალბათ შემოგვედავება, ხუთი კონტინენტის უმაღლეს მწვერვალთა სათვალავში ამდენი პიკი რაღაც ვერ ჯდებაო.

საქმე ისაა, რომ მთამსვლელებს სათვალავში შეაქვთ ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი ვინსონიც, რომელიც 4897 მეტრი სიმაღლისაა.

ასეა თუ ისე, თუ კოსციუშკოს პრიორიტეტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა პირველად ამერიკელმა დიკ ბასმა დააგვირგვინა, რომელმაც ალპინიზმს სერიოზულად სწორედ ამ მიზნის მისაღწევად „მოჰკიდა ხელი“ და 1985 წელს ოცნებაც აისრულა, როცა ევერესტი დალაშქრა.

სხვათა შორის, ბასი იმ დროისთვის გახდა ყველაზე ასაკოვანი — 55 წლისა, რომელმაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა, მის კვალს გაყოლილთაგან კი დღეისთვის მიზანს სულ 78 კაცმა მიაღწია.

იმათგან, ვინც ჯაიას უპირატესობა აღიარა და ამის გათვალისწინებით შეასრულა „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა, პირველი იყო ის კანადელი პატრიკ მორი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ.

დამთხვევის წყალობით, კოსციუშკოზე ამსვლელებისა არ იყოს, ჯაიას ამღიარებელთაგანაც მიზნისთვის 78 კაცს მიუღწევია.

იმათგან, ვინც ამდგარა და ჯაიაზეც ასულა და კოსციუშკოზეც, 45 მთამსვლელი მოგროვილა. მათგან პირველი ისევ პატრიკ მორი გახლავთ.

საქართველოს მთამსვლელთაგან პირველი, ვინც „შვიდი მწვერვალის“ პროგრამა შეასრულა, გახლავთ ბენო ქაშაკაშვილი, ვინც შარშან სამხრეთ პოლუსის უმაღლეს მწვერვალზე ასვლით მსოფლიოში 74-ემ შეკრა წრე, რაშიც კოსციუშკოზე გაიარა.

როცა ჩვენს მიღწევებზე ვსაუბრობთ, ხშირად შედეგებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებისას ვადარებთ. ამიტომ ახლაც უნდა გავიხსენოთ, რომ „შვიდი მწვერვალის“ კოლექცია ქაშაკაშვილის გარდა კიდევ ოთხ პოსტსაბჭოელს დაუგვირგვინებია. ესენი არიან: ლიტველი ვლადას ვიტკაუსკასი და ლატვიელები ილგვარ პაულსი, იმანტს ზაულსი და თეოდორ კირსისი. ამათგან ლიტველი პირველი იყო, რომელმაც კოსციუშკოს გათვალისწინებით 1998 წელს მსოფლიოში 25-ემ მიაღწია მიზანს. ჯაიას აღიარებით პირველობა ეკუთვნის ილგვარ პაულსს, რომელმაც ამგვარი საქმე 1999 წელს მსოფლიოში 54-ემ მოათავა. ამათგან ვიტკაუსკასი პირველი ყოფილი საბჭოელია, რომელმაც ორივე მწვერვალი დალაშქრა, რითაც მსოფლიოში 42-ე აღმოჩნდა.

ქართველ მთამსვლელთაგან „შვიდი მწვერვალის“ პროგრამის შესრულებასთან ახლა ყველაზე ახლოსაა გია თორთლაძე, რომელსაც დაულაშქრავს ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი, ჩრდილოეთ ამერიკის მაკ კინლი, სამხრეთ ამერიკის აკონკაგუა, აფრიკის კილიმანჯარო, აზიისა და იმავდროულად მსოფლიოს უმაღლესი პიკი ევერესტი და საქმის დასაგვირგვინებლად ანტარქტიდის ვინსონი და ჯაია ან კოსციუშკო დარჩენია.

ავთანდილ გურასაშვილი

პატრიკ მორი ჯაიას ფერდობზე



ბენო ქაშაკაშვილი ევერესტზე



REUTERS/ მიუსტონიდან

ფერერო გაუფერულდა

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲗᲐᲡᲘ
ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲤᲐᲠᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 3,7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ $

ᲚᲣᲠᲯᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:3, 6:1

ლურჯი ჯგუფის პირველივე შეხვედრა მოულოდნელად გასრულდა — ამქრის პირველოსნობისთვის ენდი როდიკთან დასწრებულად თუ დაუსწრებლად მოქიშპე ხუან კარლოს ფერეროს 67 წუთში გაიმასქნებას და ისიც დავიდ ნალბანდიანისგან არავინ ელოდა.

ეგ მით უფრო, რომ 21 წლის არმენოგაუჩოს, ვინაც ერთადერთია იქ შეკრებილი რვეულიდან, წლეულს ერთი ტიტულიც რომ არ მოურეწავს, ბოლო დროს მარცხენა მაჯის ტრავმა აწუხებდა და ამის გამო წინა ორი შეხვედრაც კი ჩააგდო.

მაგრამ იმ დღეს მას მაჯის ტკივილისა არაფერი ეტყობოდა — ორი წლით უფროს მეტოქეს თავიდანვე ჯიქურ მიუხდა და გაზიდან ფეხი მანამ არ აუშვია, სანამ ცალკორტა შეხლა თავის სასარგებლოდ არ მოამთავრა.

აი, ფერერო კი ძალზედ გამოფიტული და უხალისო ჩანს. მატჩის მსვლელობისას მან 20 უნებლიე შეცდომა დაუშვა და საერთოდაც ისე უნდილად იჩოგნავა, ერთი ბრეიკპოინტიც ვერ გაახერხა.

„თავიდანვე მაგრად გამიჭირდა, არც მოწოდება გამომდიოდა, არც დარტყმები. ასე ცუდად წლეულს პირველად ვითამაშე“ — აღიარებდა მერე ფერერო.

მის ქომაგებს ალბათ მხოლოდ ის ანუგეშებს, რომ მან წინა ორი მასტერსთასიც დამარცხებებით დაიწყო, მაგრამ სიდნეიში ნახევარფინალამდე გააღწია, ხოლო შარშან შანხაიში სულაც ფინალამდე იომა.

მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ — თავად მისივე სიტყვით — ეს მარცხი იმ ორ მასტერსთასულ წაგებაზე უფრო მძიმე იყო.

ერთი სიტყვით, კოღობიჭი ძალზედ გადაღლილია.

და ეს არც არის გასაკვირი, თუ მოვიგონებთ, რომ ნალბანდიანთან მან წლეულს თავისი 84-ე (67:17) მატჩი ითამაშა...

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — ანდრე აგასი (5, აშშ) 6:7 (3:7), 6:3, 7:6 (9:7)

როჯერ ფედერერის შანსები, ნაამტურნირევს მსოფლიოს პირველოსანი გახდეს, მიზერულია, მაგრამ უკვე აღარც ისეთი, როგორც ტურნირის დაწყებამდე იყო.

მისმა იმდღევანდელმა გამარჯვებამ და იმავდროულად ფერეროს წაფორხილებამ 22 წლის დახვეწილი ალპელის ფანებს კიდევ უფრო გაუღვივა მონაკვერცხლე იმედები მათი ჯილის შესაძლო გაუსტაბაშების თაობაზედ.

ისე — ეს ყბედობა იქით იყოს და — მატჩი მართლაც საუცხოო გამოდგა. ერთი მხრიდან ბებერი ფაკირის აბლაბუდებმა, ხოლო მეორიდან — ჭაბუკი ესთეტის ნატიფმა გემოვნებამ მაცქერლებს ჯამში რაგინდარასტილური და დიაღ დაძაბული სეირი შესთავაზა.

სეირის მოსაგებად ფედერერმა მეტოქის წილი კორტი 20 ეისით გაშოლტა, სულ 63 სუფთა დარტყმა მოაგროვა და საბედისწერო მომენტში ორი მატჩბურთიც აირიდა.

არადა, მათი წინა სამი შეხლიდან სამივე არმენოამერიკელ გენიოსს მოეგო და ცოტა რომ არ აცეტებულიყო, ეგებ მეოთხეც სათავისოდ მიეთვალა.

მაღალი დონის ბურთაობა იყოო, იძახდა მერე 33 წლის აგასი. ეს მატჩი მომდევნო ბრძოლებისთვისაც გამომადგება, თუმც კი მისი წაგება მაინც მაგრად დამენანა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჰ იუსტონური რვეულიდან ჯადო ანდრე ერთადერთია, სეზონდამაგვირგვინებელ ტურნირზე რომ უმარჯვია. ამის გაკეთება მან ფრანკფურტში 1990 წელს შეძლო, როცა მისი ამჟამინდელი მეტოქეებიდან ყველაზე უფროსებიც კი (კარლოს მოია და რაინერ შუტლერი) 14-14 წლის ჩიტირეკიები იყვნენ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

რამდენიმე დოლარით მეტი ... ᲙᲘᲛᲛᲐ ᲪᲮᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲐᲠᲢᲧᲐ

BANK OF AMERICA TOUR CHAMPIONSHIPS
ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲤᲐᲠᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ $

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) 6:2, 6:0

მართალია, ქალთა რეიტინგსიის უკანასკნელ საამსეზონო „გამოცემაში“ კიმ კლაისტერსი პირველ საფეხურზე აღარ ყელყელაობს, მაგრამ ამ წლიდან მას მაინც უფრო მეტი დადებითი ემოცია გაჰყვება, ვიდრე უარყოფითი.

ჟუსტინ ენენ-არდენთან როლანგაროსობისა და აშშ-ის ღია პირველობის ფინალებში დამარცხებას თუ არ გავითვალისწინებთ, ოცი წლის ბუთქუნა ბელგიელი წლეულს მართლაც საარაკოდ გაირჯა — ოცდაერთი ტურნირიდან ოცში სულ მცირე ნახევარფინალს მაინც უწია, თხუთმეტ ფინალში იჩოგნავა და ამ თხუთმეტიდან ცხრაში მოიგო, სულ კი 12 მარცხის წილ 90 გამარჯვება დააგროვა.

განსაკუთრებით უხვომოსავლიანი გამოდგა მისთვის კალიფორნია, სადაც მან კარსონსა და ინდიანუელსში მოგებულ ტიტულებს გუშინ ლოს ანჯელესში, წლის დამაგვირგვინებელ რვაქალა პირველობაზე მოხვეჭილი ბობოლა ჯილდოც დაურთო.

ეს ტურნირი წლეულს ოცდამეათედ იმართებოდა და ამიტომ ორგანიზატორებმა საპრიზოდ დათქმულ მილიონს ზედ სიმბოლურად 30 დოლარიც წაამატეს. ამ მილიონოცდაათდოლარიანმა ჩაროზმა კი კიმის წლევანდელი საპრიზო შემოსავალი 4 091 594 დოლარამდე გაზარდა და ის გახდა პირველი ქალი სპორტსმენი, ერთი სეზონის განმავლობაში 4 მილიონზე მეტის მონაგვრა რომ შეძლო.

კიმი ასევე შეიქნა მეხუთე ქალმეჩოგნე, ვინაც დაბლტიეის ჩემპიონატზე ტიტული დაიცვა. უკანასკნელი, ვისაც ამგვარი რამ გამოსვლოდა, გერმანელი შტეფი გრაფი გახლდათ. ამან წლის ზედიზედ ორ დამაგვირგვინებელ პირველობაზე 1995-96 წლებში იმარჯვა.

რაც შეეხება საკუთრივ გუშინდელ ფინალს, ის საოცრად მალე, 52 წუთში მომთავრდა. ჩანდა, ამელი მორესმო ჯერაც ვერ აღდგენილიყო წინა დღეს ჟუსტინ ენენ-არდენთან გადატანილი სამსეტიანი ბუქნაობის შემდეგ.

კიმი კი თავის მხრივ მუქთად არაფრის დათმობას არ აპირებდა და ისე გრძლად-გრძლად აგლაჯუნა, მორესმო ბადესთან საჩოგნეზეც არ გაუკარებია.

„იმედგამაცრუებელი ვარ, სეზონს პირველოსნად რომ ვერ ვამთავრებ — ამბობდა მერე კლაისტერსი — მაგრამ ის მანუგეშებს, რომ ნოყიერი წელი მქონდა. ცხრა ტურნირის მოგება საოცარი ამბავია და ვეცდები, ეს თამასა არც გაისად დავწიო. ისე კი, კარგი იქნებოდა ფინალში ჟუსტინს შევხვედროდი. მან ასევე დაიმსახურა წლის უკანასკნელ ფინალში თამაში. უილიამსების არყოფნისას ჩვენ უძლიერესი მეჩოგნეები ვართ.“

სხვაფრივ — ტურნირი გაისადაც ლოს ანჯელესში გაიმართება, მერე კი, როგორც ქალთა ჩოგბურთის მახვში ლარი სკოტი ვარაუდობს, ან სხვა ამერიკულ ქალაქში, ან ევროპაში, ან სულაც ჩინეთში გადაინაცვლებს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

REUTERS ლოს ანჯელესიდან

კიმ კლაისტერსმა წლეულსაც იმარჯვა ლოს ანჯელესში

ᲰᲝᲙᲔᲘ



REUTERS ნიუ იორკიდან

რეინჯერსელმა ტომ პოტიმ ედმონტონელი ტონი სალმელაინენი ყინულზე გაშხლართა

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

10 ნოემბერი

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 3:0 ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
0:0 3:0 0:0
1:0 დაციუკი (22), 2:0 უიტნი (39), 3:0 შენაპანი (40)

ᲠᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ 4:5 ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ
2:1 1:3 1:1
1:0 ჰოლიკი (4), 2:0 მირონოვი (15), 2:1 სტოლი (15), 2:2 დვორეაკი (27), 2:3 ტორესი (32), 2:4 ტორესი (36), 3:4 ლიჩი (40), 3:5 ჩაიმერა (45), 4:5 ჰოლიკი (56)

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 2:3 ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ
1:1 0:1 1:1
0:1 კლეტი (5), 1:1 ლანგი (6), 1:2 კლეტი (29), 1:3 ეგერი (47), 2:3 ლანგი (55)

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ (ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲘ)
ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ
ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲨᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲔᲡᲙᲘᲖᲘᲗ
ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲖᲔ, ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ...
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲢᲘᲙᲐ:
ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ, ᲕᲘᲛᲞᲔᲚᲔᲑᲘ...
ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲘᲗᲣᲛᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ
ᲡᲐᲠᲝ-ᲐᲠᲢᲞᲠᲘᲜᲢᲘ
ᲕᲐᲫᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 91. 53-76-82 899 56-18-49

REUTERS პატაიადან

ანა ბავშვით

ტაილანდურ პატაიაში მოვიზიტე ანა კურნიკოვა იმ დღეს ჰოსპიტალსაც სწვევია. ამ პატარა ტაი გოგოს ალბათ საამაყოდ დაურჩება ეს ფოტო, რომელზეც რუსი მეჩოგნე ისე უბიწოდ გამოსჩანს, რომ მასთან ტრადიციული სექს-თავსართის გამოყენება როგორლაც გვეუხერხულება კიდეც.



REUTERS ნიუ იორკიდან

გარია ადამიანი

დიადი მოჭადრაკე გარი კასპაროვი მორიგ კომპიუტერულ პროგრამას, „3Dx ფრიცს“ შებმია. ამბავი ნიუ იორკში ხდება და ფოტოს გადაღების წინ გარიმ კომპანია „3Dx-ის“ მიერ კომპიუტერის საჭვრეტი სათვალე გაიკეთა.

REUTERS ლონდონიდან

პრემიერული ჟომაგობა

ავსტრალიის პრემიერი ჯონ ჰოუარდი და მისი მეუღლე ჯანეტი მათი მორაგბეების მიერ მსოფლიო თასის მეოთხედფინალში სქოთთა 33:16-ით ძლევას გაუხარებია. ხოლო ტელევიზით ამ ამბავს იმიტომ უცქერენ, რომ ამჟამად ლონდონში იმყოფებიან იქ რადაც მემორიალის გახსნაზე დასასწრებად ჩასულნი.

REUTERS ბალტიმორიდან

ინდჯომაოდობა - 2

ჯერაც არ გასრულებულა ბრაზილიის ინდიელ ხალხთა მეექვსე თამაშები, ჩრდილობრაზილიური პალმასი რომ მასპინძლობს. ერთ ფოტოზე პარესელი მდედრები ბავირის გადაძალვისას იჭინთებიან, მეორეზე კი ენავენენაველი კაცები თავბურთობენ. ჰო, ეს ისეთი თამაშობაა, სადაც რომ ბურთს ოდენ თავით უნდა შეეხო.



REUTERS ფრანკფურტიდან

შუმის კარტობა

ფრანკფურტულ ყინულზე იმ დღეს დიდი კარტობა იყო. ამბავში მთავარ როლს დიადი მეფორმულაერთე, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ასრულებდა.



REUTERS ბალტიმორიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვარტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბეხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge